დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 13 ოთხშაბათი, 10 დეკემბერი 1908 წ.

№ 13

გაზეთი „დროება" ერთის წლით ღირს 7 მან., ნახევარი წლით—4 მან. 50 კაპ., ერთის თვით—90 კაპ., გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია სულ არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარეთ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქუჩა, № 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭВА".

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

მიიღება ხელის-მოწერა 1909 წლისათვის

დროება

1909 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორითაც მდგომარე წელს გამოდიოდა. მომავალ წელს გაზეთი გაუმჯობესებული იქნება შინაარსით.

◆ **ყოველ დღიურ გამოცემის გარდა 1909 წელს გაზეთს ექნება** ◆

სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაში ერთხელ—კვირაობით.

მომავალ წელსვე გაზეთში დაიბეჭდება „რუსეთის სააგენტოს" დეპეშები. დეპეშები უკვე დაკვეთილია და დეკემბერშივე დაიწყება ბეჭდვა.

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კაპ., ერთი თვით—1 მან.

თვიური ფასები:

(პირველი სტრიქონი რუსეთისაა, მეორე—საზღვარ-გარეთისა)

12 თვით	11 თვით	10 თვით	9 თვით	8 თვით	7 თვით	6 თვით	5 თვით	4 თვით	3 თვით	2 თვით	1 თვით
8—50	8—10	7—60	7—10	6—50	5—80	5—10	4—40	3—70	3— „	2— „	1— „
12— „	11— „	10— „	9— „	8— „	7— „	6— „	5— „	4—50	3—50	2—50	1—50

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური ◆—

—◆ **დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი**

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან. წლით გაზეთის გამოწერა შეიძლება მარტო პირველ იანვრიდან პირველ იანვრამდე. წლიურმა ხელის-მომწერმა ფული ან ერთიანად უნდა შემოიტანოს ან ნაწილ-ნაწილ ამნაირად: პირველად—3 მანეთი, პირველ მარტისთვის—2 მანეთი, პირველ მაისისთვის—2 მანეთი და პირველ ივლისისთვის—1 მან. 50 კაპ. გაზეთის გამოწერა უფასოდ არ შეიძლება.

ვინც 15 იანვრამდე გაზეთს გამოიწერს და სამ მანეთს შემოიტანს, იმას მიეცემა კედლის თვიური პატარა

კალენდარი 1909 წლისა

ხელის-მოწერა ჯერ-ჯერობით მიიღება მხოლოდ ტფილისში: „დროების" კანტორაში—დიდი ვანქის ქუჩა, N 12; წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში მ. ქურეკამვილთან—სასახლის ქუჩა, თავად-აზნ. ქარვასლა; ნაძალადევში მეპურე მელიტონ ღლონტისთან—მაგისტრალნი ქუჩაზე, გრიგოლ ჩარკვიანის სახლში; რკინის გზის მთავარ სახელოსნოში ვანო ჭავჭავაძესთან—ტოკარნი ცეხი.

პროვინციალურ აგენტებთან ხელის-მოწერა ჯერ-ჯერობით არ მიიღება. პროვინციალურმა ხელის-მომწერლებმა რედაქციიდან უნდა დაიკვეთონ გაზეთი ფოსტით.

ხელის-მოწერა რედაქციის კანტორაში შეიძლება: დილით 9-დან 3 საათამდე, საღამოთი 5 დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. Агладзе.

ელისაბედ ილარიონის ასული, მიხეილ, ვასილ, ალექსანდრე და კონსტანტინე გაბრიელის ძენი და ანნა ვახტანგის ასული ქართველიშვილნი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი—საყვარელ მეუღლის, მეორენი—ძვირფას მამის, უკანასკნელი—მამამთილის სამსახურს გარეშე მყოფ პოდპოლკოვნიკის

გაბრიელ გაბრიელის ძის ქართველიშვილისას

პანაშვიდები 10 და 11 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე. ცხედრის გამოსვენება ბინიდან (მუხრანის ქ., № 4) პარასკევს, 12 დეკემბერს, დილის 10 საათზე, ანჩისხატის ტაძარში, ხოლო იქიდან კუკიის სასაფლაოზე. (2—564—1)

დარდით მოკლული **ბაბო ბენაშვილისა** აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას საყვარელ და დაუვიწყარ ბიძის

ანდრია სიმონის ძის ბანაშვილისას.

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (1—6.—1)

ცნობა

სავაჭრო სახლი

ძმ. აკოფჯანოვის და სარქისიანცის

ნიკოლოზის ხიდზე, ქამოევის სახლში №№ 25—30.

პატივი გვაქვს ვაუწყოთ პატივცემულ მყიდველებს, რომ რადგანაც საკუთარ ფაბრიკაში დამზადებულია დიდ-ძალი საქონელი

100,000 მანეთისა:

მამაკაცის, დედაკაცის, ბავშვების და ყველა დაწესებულების ფორმების; და, საზოგადოთ, ვაჭრობის შეჩერების გამო, მთავარ გამგეობის განკარგულებით ამ წლის **პირველ დეკემბრიდან** ყველა საქონელზე, რომელიც ინახება საზამთრო და საზაფხულო მაღაზიებში ტფილისში დანიშნულია

დიდი იაფი ვაჭრობა

(10—6.—3)

შეძი.

ცირკი ძმ. ნიკიტინებისა

ოთხშაბათს, 10 დეკემბერს, დიდი სადღესასწაულო წარმოდგენაა. 3 მოქმედებად. მონაწილეობას იღებენ ტფილისში ჯერ პირველად მოსულნი პირველ ხარისხოვანი მოთამაშენი. დასი სულ ერთიან ახალია. პირველად ჰაერში მფრინავი ქალი ლილი. პირველად გიმნასტიკაზე აპელტე. მონაწილეობას იღებს ყველგან ცნობილი **რიჩარდ რიზოთაის** ოთხ-ეჯება არტისტებით. დასასრულს დიდი ბალეტი, რომელიც შესდგება 24 ბალერინისაგან. დაწვრილებით აფიშებში. დასაწყისი ზუსტად საღ. 8 ნახევარ საათზე.

დირექტორი ცირკისა **აკიმ ალ. ნიკიტინი.**

(0—1)

ტფილისის სახაზინო თეატრი

ოთხშაბათს, 10 დეკემბერს, ნ. ვ. კორჩევინასა და პირველად ა. მ. მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

„ევგენი ონეგინი"

მონაწილენი: ქ-ნნი არდი, ვასილევსკაია, ლავროვა, პოზნიაკოვისა; ბ-ნნი დანილევსკი, კარქევინი, როზანოვი, სერგეევი, სიმონოვი, ტომსკი და სხ.

დირიჟორი **ი. პ. ფალიაშვილი.** რეჟისორი **ც. ურპანი.**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ანონსი: ხვალე „**სიყვარულის ღამე**". სამშაბათს, 16 დეკემბერს ბენეფისი ს. ა. სერგეევისა ოთხშაბათს, 18 დეკემბერს, ბენეფისი თეატრის კასსირის მ. დ. სტრელკოვოი-პლიამისა. მზადდება წარმოსადგენად „გოფმანის ზღაპრები". ბილეთები იყიდება.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. ყორღანოვის ქუჩა N 14. (უ)

ექიმი გ. ი. ხოჯაპარუხოვი ყოფილი ასისტენტი იენის უნივ. კლინიკისა, მიიღება სიფილისით, სამარდით და კანით ავადმყოფთა დილით 9—11 ს., საღამოთი 5—7 ს; ქალებისა და ბავშვებისათვის 11—12 ს. სოლოლაკი, ბებუთოვის ქ., N 29, საკ. სახ. (25—639—13)

ექიმი ქუთაისში **ვ. წერეთელი** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც კაზაკთის ქუჩა იწყება, სამხედ აბდუშელიშვილის სახლში, დილით 9—12 ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

ექიმი კბილისა **ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივნისა. (უ)

ექიმი კბილისა **გრიგ. ტყეშელაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—5 საათ. ოლგას ქუჩა, N 33. (25—6.—16)

ექიმი კბილისა **ნ. რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

ექიმი ვ. ლამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

ექიმი ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სახელოსნო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

ექიმი ჯაფარიძე ქ. ქუთაისში შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ტფილისის ქუჩა, ს. თ. ნიჟარაძისა (6—28)

ექიმი კბილისა ქუთაისში **მ. ი. ბებიშვილი** იღებს ავადმყოფებს დილით 9—1 ს. საღამოთი 3—5 ს. ბალახვანის ქუჩა, ფიფინოვის სახლი, N 4. (25—6—24)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—7 საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (6.—45)

ექიმები კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი** და **მ. ლ. სუხარევსკი** იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. [illegible] ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა (0—586—46)

სამკურნალო ქუთაისში, **ქირურგიული და დედათა სნეულებისა,** მუდმივი საწოლებით, ტერაპევტიულ განყოფილებით და [illegible] ოთახით **ექიმის ივ. ბოკერიასი** (გიმნაზიის ქუჩა, პრინცესა მიურატის სახლი, სადაც წინად ს. თოფურიას სამკურნალო იყო).

ექიმი ვალ. ლორთქიფანიძე—შინაგანი, ბავშვების და ნერვების სნეულებით ავად. დილით 9—1 და საღამოთი 4—6 ს.

ექიმი ივ. ბოკერია—ქირურგიული, ქალის, ვენერიულ და კანის სნეულებით ავად. დილით 9—1 ს. და საღამოთი 4—6 ს. **რჩევა ათი შაური.**

კონსულტაცია და ოპერაცია მეთანხმებით. მძიმე ავადმყოფებს იღებენ ყოველ დროს. (25—6.—11)

ექიმი ნ. გ. მელიქიშვილი იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 ს. დილით და 4—6 ს. საღამოთი. ბრუნის ქუჩა, N 11. (25—656—4)

ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფებს (სიფილისი, სუზენატი, სამარდე მილის, ბუშტის და თირკმელების სატკივარი), ტფილისის ქ., ფირალოვის სახლი (ქარხანა). (120—ფ.—9)

ექიმი ა. ი. აშიანცი ქუთაისში ყოფილი ორდინატორი ხარკოვის საუნივერსიტეტო ქირურგიულ კლინიკისა, იღებს ავადმყოფებს ქირურგიულ და ვენერიულ, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებათა. დილით 8—12, საღამოთი 5—7 ს. ტფილისის ქ., სახლი რეზაშვილისა, N 26. (25—33.—13)

ფერშალი ლეონტი ი. ბარკალაია უცრის ყვავილს. იღებს ყელ-ჭირვების, ხუნაგისა და ვენერიულ ავადმყოფთ ყოველ-დღე 3—6 საათამდე. გოგოლის ქუჩა N 68. (15—613—12)

ექიმი ე. ს. ხუნდაძე ქუთაისში იღებს შინაგან, სამარდე და ქალთა სნეულებით ავადმყოფებს, აგრეთვე შობიარებს, ყოველ დღე: დილით 19—1 ს., საღამოთი 6—7 ნახევარ სათ. ლვამოვის ქუჩა, ს. N 29 ჩარექოვისა. (25—6.—7)

8 დეკემბერს გაიხსნა ახალი

ტფ. კერძო სამკურნალო (ამბულატორია)

ღიაა ყოველ-დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაკზლის ქ., 8; ს. ენფიანჯიანცისა; ტელეფონი 695.

ექ. ე. გ. ფედოროვი: ყოვ. დღე გარდა ოთხშ. და კვირისა 8 ნახ.—9 ნახ. საათამდე შინაგანი.

ექ. ვ. დ. ლამბაშიძე: ყოვ. დღე, კვირა დღის გარდა, 11—12 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმყ.

ექ. ბ. ა. პოპოვი: ორშ., ოთხშ., ხუთშ. და შაბ.; 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავადმყ.

ექ. ბ. გ. მაკაროვი: სამშ. და პარ.; 12—1 ს.; შინაგან ავადმყ.

ექ. ა. ნ. დიასამიძე: ყოვ. დღე; 11 ნახ.—12 ნახ. ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავადმყ.

ექ. ნ. გ. მელიქიშვილი: ყოვ. დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავად.

ექ. ი. გ. გომართელი: ყოვ. დღე; 2—3 ს.; შინაგ. და ბავშვ ავადმყ.

ექ. ვ. ს. მუსხელიშვილი: ყოვ. დღე; კვირა დღ. გარდა, 2—2 ნახ. ს., თვალის ავადმყ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ხიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათა გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით.

ამ მოკლე ხანში გაიხსნება სტაციონალური განყოფილება 30 საწოლით. (25—657—3)

ტფილისი, 10 დეკემბერი.

დღეს ან ხვალ პეტერბურგიდან მივიღებთ ცნობებს იმის შესახებ, თუ რა თვალით უცქერის სახელმწიფო სათათბიროს სხვა და სხვა ჯგუფი კავკასიის ნამესტნიკის პოლიტიკას. მართალია, არსებითად თითოეულ პოლიტიკურ მიმართულების თვალსაზრისი უამისოდაც ცხადია, მაგრამ ოფიციალურად სათათბიროს ტრიბუნიდან ამ თვალსაზრისის გამორკვევას და განვითარებას მაინც დიდი ფასი აქვს. არც გრ. ვორონცოვ-დაშკოვის შეხედულება იყო საიდუმლოება აქამომდე, მაგრამ მის რწმუნებულის ბარონ ნოლდეს განმარტება მაინც მრავალ მხრივ საგულისხმო და საინტერესო გამოდგა.

ბარონ ნოლდეს სიტყვა მემარჯვენე ჯგუფების შეკითხვამ გამოიწვია, მაგრამ შინაარსით იგი შეკითხვის პასუხზე უფრო მეტია. შეკითხვის ავტორები კავკასიის ადმინისტრაციის „არა კანონიერ მოქმედებას" სწამებენ, ამ სიტყვის იმ მნიშვნელობით, ვითომც ნამესტნიკის პოლიტიკა ვნებდეს თავის ლმობიერებით და ტენდენციებით კავკასიაში რუსულ ინტერესების წარმატებას. ამ შეკითხვის პასუხად ნამესტნიკის წარმომადგენელი ბარონი ნოლდე განმარტავს არა მარტო კავკასიის მთავრობის წარსულს და აწმყო მოქმედებას, არამედ აგრეთვე იმის განზრახვებს მომავლის შესახებ; სხვა ნაირად რომ ვთქვათ, ბარონ ნოლდე უბრალო პასუხით არა კმაყოფილდება და კითხულობს მთელს დეკლარაციას კავკასიის რეფორმების შესახებ. ჩვენც სწორედ სიტყვის ეს უკანასკნელი ნაწილი გვაინტერესებს ყველაზე მეტად.

როგორც მკითხველს მოეხსენება, „კავკასიის რეფორმებზე" და კავკასიის კანონ-პროექტებზე 1904 წლიდან დაუსვენებლივ ლაპარაკობენ საზოგადოებაში და სწერენ გაზეთებში. ოფიციალურადაც ხშირად ყოფილა ნათქვამი, ზოგჯერ პირდაპირ და ზოგჯერ გადაკვრით, რომ კავკასიის უმაღლესი ადმინისტრაცია რეფორმების მოხდენას აპირებს და ამ აზრით კანონ-პროექტებს ამზადებსო. რეფორმების მოლოდინი ამ ბოლო დროს ცოტა ოდენ შესუსტდა; პრესსას და საზოგადოებას თითქოს ეჭვი შეეპარა, იქნება ეს რეფორმები უბრალო სამასლაათო საგანი იყოს და არა სერიოზული განზრახულებაო. აი, სწორედ ამ ეჭვზე იძლევა გადაჭრილს პასუხს ბარონი ნოლდე.

კავკასიის ადმინისტრაციას უპირველესი ყურადღება მოუქცევია ეგრედ წოდებულ „ბატონყმობის ნაშთებისთვის." ასეთ ნაშთად ითვლება დროებით ვალდებულ გლეხთა დამოკიდებულება მემამულეებისაგან. კავკასიის ადმინისტრაციას შეუმუშავებია კანონ-პროექტი ამ დამოკიდებულებათა ლიკვიდაციისა, წარუდგენია იგი განსახილველად მინისტრთა საბჭოში, სადაც საჭიროდ უცვნიათ **ამ რეფორმის ფინანსიურ აგებულების შეცვლა.** ნამესტნიკის ცნობილ უქვეშევრდომეს მოხსენებაში ამ საკითხის შესახებ ზოგადად არის გატარებული ის აზრი, რომ გლეხების განთავისუფლება სავალდებულო დამოკიდებულებათაგან არც უსასყიდლოდ შეიძლება მოხდეს და არც თვით გლეხების ხარჯზე; ეს ხარჯი სახელმწიფომ უნდა იკისროსო. უნდა ვიფიქროთ, რომ ნამესტნიკის კანონ-პროექტი ამ ფინანსიურ საძირკველზე იქნებოდა დამყარებული და აი ეს არ შეუწყნარებია მინისტრთა საბჭოს. შეუძლებელია, ეხლანდელ პოლიტიკურ მომენტისა გამო, ვიფიქროთ, რომ მინისტრთა საბჭოს აზრით მემამულეებს არავითარი სასყიდელი არ ერგებოდეთ გლეხების განთავისუფლებისათვის. ასეთი აზრი თვალსაჩინო დისსონანსი იქნებოდა ცენტრალურ მთავრობის საერთო პოლიტიკურ მიმართულებაში. ამიტომ გადაჭრით შეიძლება ვთქვათ, რომ მინისტრთა საბჭოს აზრით თვით დროებით ვალდებულ გლეხებს უნდა დაეკისროთ დაკმაყოფილება მემამულეების. რა ფორმაში ჩამოისხმის ეს დაკმაყოფილება, არა სჩანს, მაგრამ მაინც ცხადია, რომ დროებით ვალდებულ გლეხთა მდგომარეობა მხოლოდ ქერქს იცვლის, არსებითად კი იგივე იქნება, რაც აქამომდე იყო.

როგორც ბარონ ნოლდეს სიტყვიდან ირკვევა, ამ ერთის კანონ-პროექტის შესახებ კავკასიის ადმინისტრაციას სხვა არაფერი არა აქვს დამზადებული. ადგილობრივ ცხოვრების სხვა მხარეთა შესახებ ჯერ მხოლოდ ნაირ-ნაირი სურვილი აქვს კავკასიის ნამესტნიკს, მაგრამ ამ სურვილს ჯერ საკანონმდებლო მიმართულება არ მიუღია. ყველაზე მეტად ამ სურვილთა შორის განვითარებულია და მომწიფებულია ის აზრი, რომ სახაზინო მიწები სახაზინო გლეხებს ამიერ-კავკასიაში სამფლობელოდ კი არა, საკუთრებად ეძლეოდეთ, და რომ მიწების დასაკუთრებლად გლეხებისთვის ამოძრავებულ იქმნას სამოსამართლო გამიჯვნის ორგანიზაცია. ეს აზრი გამოჰხატავს კავკასიის უმაღლეს ადმინისტრაციის დასკვნას 1900 და 1901 წლების საგლეხო საადგილმამულო კანონების შესახებ. ამ კანონების შეცვლაზე და შესწორებაზე იმ აზრით, რომ გლეხთა სადგილ-მამულო მომწყობ კომისიებს ჩამოერთოთ უფლება, მოუზომონ სახაზინო გლეხებს გარდა იმ ადგილებისა, რომლებითაც ეხლა სარგებლობენ, აგრეთვე ისეთი თავისუფალი ადგილებიც, რომელნიც მათთვის აუცილებელ ეკონომიურ საჭიროებას წარმოადგენენ ან წინად სჭერიათ და შემდეგ უსამართლოდ ჩამოურთმევიათ მოხელეებს,—ამ აზრით 1900 და 1901 წლების კანონების შეცვლისთვის ტფილისში გასულს ზაფხულს აქაური ბიუროკრატები ამზადებდნენ მასალას. რა თქმა უნდა, ცენტრალური მნიშვნელობა აქ მფლობელობის და საკუთრების ტიტულს კი არა, მფლობელობის სივრცესა აქვს. ამ მხრივ კავკასიის უმაღლეს ადმინისტრაციის სურვილი, როგორც ბარონ ნოლდეს სიტყვიდან სჩანს, იქითკენ არის მიმართული, რომ რაც შეიძლება მეტი ისეთი ადგილი იქმნას აღმოჩენილი ჩვენს ქვეყანაში, რომელსაც „თავისუფალი" ეთქმის. თავის სიტყვის მეორე ალაგას ბარონი ნოლდე ამაყად ამბობს, უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში 10.000 რუსეთიდან გადმოსახლებული დამკვიდრდა ამიერ-კავკასიაში „თავისუფალ" ადგილებზეო. ცხადია, რისთვის და ვისთვის არის საჭირო თავისუფალ ადგილების აღმოჩენა, ხოლო ამისთვის კი სამოსამართლო-გამიჯვნის წესით გლეხების გადაქცევა სახაზინო მიწების მესაკუთრეებად. დიდად საგულისხმოა, რომ ნამესტნიკის ლიბერალობას სწორედ ამ რეფორმის საჭიროებისთვის მიუგნია.

სწორედ ის რეფორმა, რომელსაც ყველაზე მოუთმენლად ელის ჩვენი ქვეყანა და რომელსაც თვით კავკასიის უმაღლესი ადმინისტრაცია სხვებზე წინ აყენებდა 1905 წელს, საერობო რეფორმა ეხლა, როგორც ბარონ ნოლდეს დეკლარაციიდან სჩანს, დროებით უკუ გდებულია. „სიფრთხილისა გამოო"—ამბობს ნამესტნიკის რწმუნებული, კავკასიაში საერობო თვითმართველობას შემოღება იმ დროისთვის უნდა გადაიდოს, როცა გამოირკვევა, რა ნაყოფს მოიტანს შიდა რუსეთისთვის განზრახული ცვლილება საერობო თვითმართველობაშიო. ჩვენებურად რომ ვთქვათ, ბარონი ნოლდე ნამესტნიკის სახელით ამშვიდებს და აწყნარებს ხალხის წარმომადგენლებს, ფიქრი ნუ გაქვთ, ერობაზე მხოლოდ ვლაპარაკობთ კავკასიაში, თორემ ნამდვილად იმის განხორციელებას ვინ მოესწრებაო. მართლა და, როდის ველირსებით ერობას, თუ ჯერ რუსეთის საერობო თვითმართველობის რეფორმას გვალოდინებს და შემდეგ ამ რეფორმის ნაყოფს იმავ შიდა რუსეთში. ორმოცის წლის წინად „სიფრთხილის გამო" გამოსწირეს კანონმდებლებმა ჩვენი ქვეყანა ერობას, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს და სხვა რეფორმებს და ეხლაც იმავ „სიფრთხილისა გამო" მიაჩნიათ ნაადრევად ამ რეფორმების მონაწილეთ გაგვხადონ.

გარდა ამისა, ბარონ ნოლდეს სიტყვით, კავკასიის ნამესტნიკს საჭიროდ მიაჩნია კავკასიის საადმინისტრაციო მექანიზმის გაუმჯობესება, მაგრამ ეს საქმეც შეჩერებულია, ვიდრე საკანონმდებლო დაწესებულე-

ბანი გამოსთქვამენ თავიანთ აზრს შიდა რუსეთისთვის განზრახულ სადმინისტრაციო რეფორმაზე. ამავე მდგომარეობაშია სასამართლოს რეფორმის საქმეც.

ბარონ ნოლდეს სიტყვის შემდეგ მემარჯვენეებს შეუძლიათ გული დაიმშვიდონ. კავკასიის რეფორმები და კანონპროექტები თურმე ნამდვილად არსებულ მდგომარეობას არაფერში არ ცვლიან.

ᲐᲙᲐᲙᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲓᲐ ᲚᲔᲥᲡᲘ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲘᲖᲔ

ბატონებო! ორმოცდაათი წელიწადი ვებრძოდი უსამართლობას, განსაკუთრებით შინაურ უკუღმართობას. იარაღად ვხმარობდი სიტყვას და კალამს, სადაც ძალიან მცირეოდენ თაფლთან ბევრი ნაღველი იყო ჩემსავე ცრემლებში ჩაღესილი. ამ ნაირი სამზადისი ბევრს, რასაკვირველია, მწარედ მოეჩვენება, თუ ვინმე მუშტრის თვალით გადაათვალიერებს იმ ნაწერებს და გაიხსენებს გადაუსხვაფერებლად ჩემს სიტყვებს, იქ საპირადოს ვერას ნახავს ვერც ერთში. მაგრამ თავმოყვარეობა იქ ჰხედავს იმას, სადაც არ არის და ადამიანი კი, საზოგადოდ, თავმოყვარეა. ასე თუ ისე, ამ ჩემმა ხელობამ ბევრი სიმწარე გამომაცდევინა და ვინ იცის, რამდენჯერ გამისკდებოდა გული, რომ აქა-იქ თანამგრძნობელი არ მყოლოდა, უმეტესად ქალებში მათის გულკეთილობით და ახალგაზდებში მათის გულუბრყვილობით, რისთვისაც საჯაროდ ვწირავ მათ მადლობას. მე ჩემი თავი ყოველთვის მიმაჩნდა და მიმაჩნია პატარა დღიურ მუშად, ძალიან მცირედ, ასე რომ თუ ჩემ შრომას ვინმე ყურადღებას მიაქცევდა, არ მეგონა, მაგრამ ეხლა ვხედავ, რომ შემცდარი ვყოფილვარ და დღეს ჩემი შრომა ერთი ათასად ფასდება და რას უნდა მივაწეროთ ეს? იმას, რომ ხალხში აღძრულა ეროვნული გრძნობა, რომ ჰყავდეს ნამდვილი მოღვაწე და გმირი, რისაც მე მხოლოდ მოჩვენება ვარ. მათ ამ დიად გრძნობას შეუერთებ ჩემს ნატვრასაც, რომ მოვლინებოდეთ ის სანატრელი გმირი და მე კი

ის არ ვარ თქვენ რომ გგონივართ,
ძნელი უთვალა ჭაღარა;
თამამად ვეღარ გაჰკივის
ჩემი დაფა და ნაღარა.
გული არ იშლის გულობას,
მაგრამ ვერ შესძლებს ძალ-ღონე;
ვარ ბევრი „ვაის“ მნახველი
და ბევრ „უის“- გამგონე.
ასჯერ გული წვეთ-წვეთად
ნაღველითა და შხამითა,
ისე ვით საუკუნნი
სხვა და სხვა მრავალ წამითა.
და რადგან მინდა სიცოცხლე
მე ასჯერ გამწარებულსა,
თუ ვისმე ვეტრფი, ვინ მიყვარს,
ვხედავ მას აოხრებულსა.
მაგრამ იმედი ცის ნამი
რომ გამოელვებს გლახ გულსა,
თავს ტარიელ მგონია,
ოცნებით გარე მოცულსა.
უხმობ ფრიდონს და ავთანდილს,
მხარი მხარს მისცენ ხელი-ხელს;
ნესტარ დარეჯან ქაჯებს ჰყავს
მთელის ტურფა გამოუხსნელს.
რა უყოთ, თეთრი თმა მქონდეს—
სისხლით შევღებავ ჭაღარას
და საგმირო ხმას გავახებ
ჩემსა დაფსა და ნაღარას.
მაგრამ, ვაიმე, რომ იქვე
მოუგზავნია ჯოჯოხეთს,
მცდურ სარკეში მახედებს,
ოცნებას მიწყდავს, გულს მიხეთქს.
ამბობს, ფრიდონ და ავთანდილ
ჯერ ვერ გადიხდის თმსაო
და შენც ტარიელს მოჰგავხარ,
ისე ვით კატა ლომსაო.
მართალი არის, მაგრამ რა,
რათ გავიტეხო იმედი,
გმირს წინა უძღვის ყოველთვის
უძლური წინა მორბედი!
არა, არ ვკარგავ იმედსა,
ვერ შემაშინებს ჭაღარა,
გმირებს მოელის თქვენგანვე
ჩემი დაფა და ნაღარა!

ᲞᲠᲔᲡᲡᲐ ᲐᲙᲐᲙᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲘᲖᲔ

როგორც გუშინ ვწერდით, ჩვენის დიდებულის მგოსნის იუბილეის ადგილობრივი და კავკასიის სხვა ქალაქთა რუსული პრესსაც დიდის თანაგრძნობით მიეგება. ტფილისის, ბაქოს და ბათუმის გაზეთებმა გრძნობით სავსე წერილები უძღვნეს საქართველოს მგოსანს. შეუძლებელია, ყველა საინტერესო სტატიების მოყვანა და ჩვენ იძულებულნი ვართ მხოლოდ ზოგიერთი ავღნიშნოთ. ტფილისის რუსულ გაზეთებიდან ყველაზედ უფრო ბევრსა და საინტერესო მასალას იძლევა „ნოვოსტი ზაკავკ.“, რომელიც 7 დეკემბერს თითქმის მარტო აკაკის ეკუთვნის. მეთაურს წერილში ვკითხულობთ:

ნახევარ საუკუნის წინ, როცა ჩვენში ბნელეთი მეფობდა და სამარცხვინო მონობა, როცა ლიტერატურაში გამაძღარი წარჩინებულნი ღვინოსა და ქალებს ამღერდნენ,—ამ ბნელ დროს უეცრად თითქო ციდან ჩამოვიდა გენიოსი პოეტი, დაჰქუხდა და სიმღერა მისი იყო ცხადი... ის მღეროდა ერთობაზე, თავისუფლებაზე, ძმობაზე და ტკბილმა ჰანგმა იმის ჩონგურისამ გაანათა ღარიბის ქოხი... როგორც ყოველი წინასწარმეტყველი, მგოსანი უბრალოდ ჭეშმარიტებას ქადაგებდა — მისნაც ადამიანი არისო. ხალხიც სულგანაბული უსმენდა წინასწარმეტყველ მგოსანს... დატყვევებულ ხალხს მოევლინა ნუგეშისმცემელი და ციური სიმღერა ჩამოუტანა. დაჩაგრულსა და დამცირებულს ხალხს სახე გაუბრწყინდა... მგოსანს წინააღუდგნენ ძლიერნი ამა ქვეყნისანი და თითქმის სიკვდილითაც-კი ემუქრებოდნენ ხალხის უფლებათა დამცველს; მაგრამ მგოსანი არ შეუშინდა მტერთ და აღმართა მათ წინააღმდეგ თავისი მრისხანე იარაღი—დაცინვა. მისი ისარი, მომზადებული მარტო მისებურ დაცინვით შიშის ზარსა სცემდა და ბრძოლის ველიდან იხტუმრებდა მტერთ... მას შემდეგ მგოსანი მართლა რომ იერემიად ხდება თავის ერისა. ხან მოსთქვამს წინანდელ დიდების ნანგრევებზე... ხან ფუტკარივით ათას ყვავილებიდან აგროვებს ნექტარსა და ამზადებს თაფლს... ხან მღერდება ქვეყნიერ საქმეებს და შედის ბუნების დიდებულ ტაძარში, რათა უგალობოს ციური ჰანგი მშვენიერებას... ხალხს უყვარს თავისი მგოსანი, რადგან იგი ყოველთვის ჩაგრულთა მგოსანი იყო და არასოდეს მის ჩანგს არ უმღერია განცხრომილთა გახარებლად... და აი მადლიერს ერს დღეს აღტაცებით მიჰყავს იგი ძველს სიონში — საქართველოს პანთეონში— რათა დიდების გვირგვინით შეამკოს იგი...

შემდეგ ამავ №-ში დაბეჭდილია საინტერესო მოგონებანი გრ. დიასამიძისა, ბიოგრაფია, ბ. მერკვილაძის სოცარი საიდუმლოება, რომელსაც ცალკე დავბეჭდავთ, და სხვა წერილები.

* * *

ბევრი წერილებია „ზაკავკ. ობოზრ.“-შიაც. მეთაური, აბისელის წერილი, იაკობ რუსისა და ჰამზად-ბეგ-ქაბულოვ-შირვინსკის წერილები ქებითა და დიდებით მიესალმებიან უძვირფასეს მგოსანს. გიორგი გვაზავა სწერს: „დიდებული მგოსანი შემქნელია ქართულ ენისა...

არავის რუსთაველის შემდეგ ასეთი ცოდნით და ხელოვნებით არ აღმოუჩენია ქართულ ენის საოცარი სიმდიდრენი—სიმარტივე, ძლიერება. სიფაქიზე, ბრწყინვალება მისი სიტყვანი ატყვევებს და ხიბლავს ადამიანს.

ბ. შირვინსკი მაჰმადიანის სახელით მიულოცავს იუბილიარს და ამბობს:

ქართველმა ერმა, თავის მრავალ საუკუნეთა ისტორიულ ცხოვრებაში, ბევრი სიმწარე იგემა, დიდი ტანჯვა და ვაება განიცადა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ ტიტანიურ ბრძოლიდან თავის ცხოვრების ბილიკზე ხელში მაინც გამარჯვებული გამოვიდა,—გამარჯვებული რაინდულ—დიდებული, გამარჯვებული კულტურით და საერთო-საკაცობრიო კულტურულ განძში თავისი წვლილი—მშვენიერი ეროვნულ ყვავილი—შეტანა. ესოდენ-მძლეველი ძალა ქართველ ერისა ყველა ხანებში, როგორი ომებოდა არ ერთი ყოფილიყვნენ ყოველთვის იბადება საერთო-საკაცობრიო გენიის საუკეთესო მატარებელნი...

* * *

გაზეთი „ვესტნიკ ბაკუ“ სწერს: სულითა და გულით ვულოცავთ დიდებულ მგოსანსა და მის საყვარელ საქართველოს დიდ ეროვნულ დღესასწაულსო და დასძენს:

იმავე ფურცელზე, რომელზედაც აღიბეჭდება ეს დღესასწაული ქართველთა კულტურის ისტორიიდან, აღიბეჭდება აგრეთვე ფრიად საგულისხმიერო მოვლენა მთელის კავკასიის ისტორიისა: ეს დღესასწაული კიდევ ერთხელ დაამტკიცებს, რომ კავკასიის ხალხთა საერთო ოჯახს შეუძლია სოლიდარული მსვლელობა პროგრესის გზაზე, რომ ერთის ხალხის სიხარული და დღესასწაული ყველა სხვა კავკასიელ ხალხთა დღესასწაულიც არის, რომ ერთის გამარჯვება სხვებში შურს-კი არ აღვიძებს, არამედ სიხარულს.

* * *

მეორე ბაქოს გაზეთი „კასპი“ მეთაურს უძღვნის ჩვენს დღესასწაულს და გრძნობით სავსე ცალკე წერილსაც. გაზეთი მწუხარებით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ კავკასიის ერნი რიგანად ვერ ვიცნობთ ერთმანეთს, ერთმანერთის ლიტერატურას და იმედს გამოსთქვამს, რომ „ქართველთა ეროვნული დღესასწაული საფუძველს დაუდებს კავკასიელ ხალხთა უფრო მეტ დამეგობრება-გაცნობასაო“.

„ბაკინსკოე ეხო“-ში დაბეჭდილია საინტერესო და ლამაზი ფელეტონი ლ. ყიფიანისა.

* * *

გაზეთი „ბატუმსკი გოლოს“ სავსეა აკაკის იუბილეს შესახებ წერილებით: მეთაური, ფელეტონი (აკაკის ლექსები რუსულად და „ქართველის“ წერილი), პატარა ფელეტონი ნიკოლისა, საინტერესო წერილი კ. გ—სა და სხვა. აღვნიშნავთ აგრეთვე, რომ ტფილისის ორშაბათის გაზეთმა „კურიერმაც“ თანაგრძნობის წერილები უძღვნა ჩვენს დიდებულს მგოსანსა და ეროვნულ დღესასწაულს.

ᲐᲙᲐᲙᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲘ

ლექცია ქუთაისში. ქუთაისში მიიწვიეს გრ. რობაქიძე, რომელიც იქაურ თეატრში 12 ან 13 დეკემბერს წაიკითხავს ლექციას მგოსნის აკაკი წერეთლის შესახებ. რობაქიძე ამ ჟამად ამზადებს ვრცელს რეფერატს შოთა რუსთველის შესახებ.

შემოსავალი. ბილეთების გაყიდვით აკაკის მთავარ საიუბილეო კომიტეტს 7 დეკემბერს შემოუვიდა სულ 3715 მან. აქედან სახაზინო თეატრის დირექციამ წაიღო 1262 მ.

საჩუქარი. გვთხოვენ დავბეჭდოთ, რომ სოფელ ახალქალაქისა და მის ახლო-მახლო სოფლების ქართველ-სომეხ გლეხთაგან იუბილიარს მიერთვა ვერცხლის ფრთის კალამი ოქროს ლენტზე წარწერით და აკაკის სურათით.

მისალოცი დეპეშები. როგორც გუშინ ვწერდით, მისალოცი დეპეშები იყო ცნობილ ბელეტრისტ კოროლენკოსა, ანენსკისა და სხვათაგან, საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ თვით შინაარსი ამ დეპეშებისა:

ჟურნალ „რუსკოე ბოგატსტვო“-ს რედაქცია ქართველი ხალხის მხცოვან პოეტს, მის სალიტერატურო მოღვაწეობის საიუბილეო სადღესასწაულო დღეს, უგზავნის გულწრფელ სალამს **კოროლენკო.**

—

მალოროსიულ ჟურნალის „ლიტერატურნო-ნაუკოვი ვესტნიკი“-ს რედაქცია უერთებს თავის ხმას ქართველი ხალხის ხმას და იუბილეის დღეს სალამს უძღვნის მის ეროვნულ პოეტს.

—

მალოროსიულ გაზეთის „რადა“-ს რედაქცია გთხოვთ შეუერთოთ მისი ხმა მთელი ქართველი ერის ხმას, რომელიც იუბილეის დღეს ეგებება თავის სახელოვან პოეტს.

—

„გაზეთ „ვესტნიკ ბაკუ“-ს რედაქცია აღტაცებით უერთებს თავის ხმას იმათ ხმას, რომელნიც ყველა კუთხიდან ეგებებიან კავკასიის კულტურულ და ქართველი ხალხის დღესასწაულს.

—

გაზეთ „კასპი“-ს რედაქცია მხურვალე სალამს უძღვნის მხცოვან პოეტს აკაკი წერეთელს, კეთილშობილ ქართველი ხალხის დიდებასა და სიამაყეს. რედაქტორი **ან. ვეინბერგი.**

—

პეტერბურგის სალიტერატურო საზოგადოება ეგებება საქართველოს მხცოვან პოეტის, მშვენიერებისა და ცხოვრების სიხარულის საუცხოვო მომღერლის ორმოცდა ათი წლის მოღვაწეობას და უსურვებს კიდევ მრავალ წელს ნაყოფიერ მუშაობას. თავმჯდომარე **ანენსკი.**

—

მოსკოვის სამხატვრო თეატრი უგზავნის თავის სალამს და ღრმა პატივის-ცემას საქართველოს სახელოვან მწერალს. **ნემიროვიჩ-დანჩენკო, სტანისლავსკი.**

—

მოსკოვის სალიტერატურო და სამხატვრო წრე თავის გულწრფელ სალამს უთვლის კულტურის დიად იდეალების მძლავრ მატარებელს საქართველოს სიამაყეს და შესანიშნავ მწერალს აკაკი როსტომის ძე წერეთელს, მის ნაყოფიერ მუშაობის 50 წლის იუბილეის დღეს. დირექციის თავმჯდომარე **ალ. სუმბათაშვილი.**

—

მოსკოვის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა მრავალი სტუმრები, შეკრებილნი უნივერსიტეტში ქართველთა ეროვნულ პოეტისა და სიამაყის პატივსაცემად მხურვალე სალამს უძღვნიან საქართველოს მგოსანსა და მოქალაქეს. ვუსურვებთ რომ საქართველოსთვის ძვირფას იუბილიარს აკაკის ეცოცხლოს კიდევ მრავალი წელი. თავმჯდომარე კრებისა პროფესორი **საკულინი.**

—

თქვენი მოღვაწეობის ნახევარ საუკუნის შესრულების დღე აღმოსავლეთ ენათა ლაზარევის ინსტიტუტის პროფესორთა საბჭო გიძღვნით მხურვალე სალამს, გულწრფელად გისურვებთ, რომ თქვენის საუცხოვო და ჰუმანიურ ქნარით კიდევ მრავალი წლის განმავლობაში დაგემშვენებინოთ ქართული პოეზია. დირექტორი ინსტიტუტისა მილლერი, მდივანი **ხახანოვი.**

—

ბერძნის გულს არ შეუძლიან გულგრილად უყუროს იმ იუბილიარის პატივისცემას, რომელმაც განათლების საქმეს შესწირა მთელი თავისი ახალგაზდობა და, ძალა, ამიტომ გთხოვთ, მიიღოთ ჩვენი გულწრფელი სალამი და სურვილი, რომ ჯერ კიდევ დიდ ხანს გეცოცხლოთ და გვემუშავნოთ მაგ ასპარეზზე. ბათუმელ ბერძნების მონდობილობით **ანანიასიადი.**

ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲑᲐᲜᲐᲙᲘᲓᲐᲜ

რუსეთის ვრცელ ტერიტორიის მკვიდრთა შორის სწავლა-განათლების ფართოდ განვითარება უხსოვარ დროიდან საზოგადოების მოწინავე ელემენტების საოცნებო იდეალს შეადგენდა. დიდი ხანია რუსეთის საზოგადოების საუკეთესო ნაწილი, თვით ხალხთან ერთად, დაჟინებით მოითხოვს საყოველთაო, უფასო და სავალდებულო სწავლის შემოღებას, მაგრამ ეს სამართლიანი მოთხოვნა სხვა საპირბოროტო საკითხებთან ერთად დღემდე რჩებოდა „ხმად მღაღადებლისად“... ბოლოს მოძრაობამ მაგრად შეარყია სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრების ბჭენი და ქვეყნის მმართველნი იძულებულნი გახდნენ ყურად ეღოთ ხალხის კანონიერი მოთხოვნა და მისთვის ასე თუ ისე ანგარიში გაეწიათ და აი სახალხო განათლების მინისტრიც წარუდგა ხალხის წარმომადგენელთა წინაშე საყოველთაო სწავლის პროექტით. ამ პროექტს მთავრობასთან ერთად თანაგრძნობით მიეგებნენ მემარჯვენენიც კი... აქედან თავისთავად ცხადია, თუ რა შინაარსისა იქნება ეს „საყოველთაო სწავლების“ პროექტი. სხვა რომ არა იყოს რა, სამინისტრო კრინტსაც-კი არა სძრავს სასწავლო ენის თავისუფლების შესახებ, მაშინ როდესაც ჩვენთვის, არა რუსთათვის, საყოველთაო სკოლად ჩაითვლება მხოლოდ ნაციო-

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ᲐᲚᲑᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲙᲕᲐᲚᲘ ᲡᲐᲘᲜᲒᲘᲚᲝᲨᲘ

საზოგადო მიმოხილვა.—ალბანური სახელები სოფლებისა.—ორი სამლოცველო ბელაქნისა და ჰერეთისა.—ალბანელთა ნაშთნი უდინები და მათი სოფლები.—უდინეთა ორი სოფელი საინგილოში.—ფადარები და სოფელი ფადარი.

ბევრსა ჰგონია, რომ ალაზნიდან დაწყებული მთელი გაღმამხარი: საინგილო, ნუხის მაზრა, არეშის მხარე და სხვანი, განსაკუთრებით ქართველებით იყო დასახლებული უძველეს დროში და იგი ქართველების მიწა-წყალს წარმოადგენდაო. ასეთის აზრისაა, მაგალითად, დიმიტრი ჯანაშვილი. აბა გადაიკითხეთ მისი წერილები „ისტორიული და გეოგრაფიული აღწერა ჰერეთისა“, სადაც საქართველოს უკანასკნელ საზღვრად მიაჩნია დღევანდელ ნუხის მაზრის სოფელი ხალხალი და ყველგან ქართველებსა და ქართველთა ნაშთებსა ჰხედავს. ჩვენის შეხედულობით, ეს აზრი შემცდარი უნდა იყოს. ლაპარაკი არ უნდა, რომ ნუხის მაზრაში და სხვაგანაც მოსახლეობდნენ ქართველები, იყვნენ ქართველთა სოფლები, მაგრამ აქ ქართველობა უმრავლესობას როდი შეადგენდა, არ იყო ერთიანი განსაკუთრებით ქართველთა მოსახლეობა. ქართველები აქა-იქ იყვნენ გაბნეულნი, სხვა ერებში არეულნი, ისე როგორც დღეს ამავე ადგილებში არეულნი არიან სომხები და თათრები. ჩვენ უფრო შორსაც წავალთ და ვიტყვით, რომ ქართველები მოსახლეობდნენ ნუხის მაზრის იქითაც, შირვანისაკენ, თითქმის კასპიის ზღვამდისაც.*) აიღეთ გინდა შირვანის ქალაქი შემახა, სადაც ბოლო დრომდის მთელი უბანიც-კი იყო გურჯებისა-ქართველებისა, რომელნიც მას შემდეგ, რაც ძლიერი მიწის ძვრა მოხდა შემახაში, სხვა ადგილს გადასახლდნენ.

ესევე იყო საინგილოში უძველეს დროში. ქართველები ერთად-ერთს ელემენტს არ შეადგენდნენ აქ. აი თვით სტრაბონი რას ამბობს: ალბანიის საზღვრავს აღმოსავლეთით კასპიის ზღვა, დასავლეთით—ივერია ანუ იბერია. ივერიიდან თუ გინდათ ალბანიაში წასვლა, უნდა გაიაროთ კამბიზენა (დღევანდელი კამბეჩოვანი-ქიზიყი.) უწყლო და მწირი ადგილი და გახვიდეთ ალაზანში (სტრაბონით ალაზონიუსში). აქედანა სჩანს, რომ ჯერ კიდევ ძველად, სტრაბონის დროს, ალბანიისა და საქართველოს საზღვრავდა მდინარე ალაზანი. ალბანიაში კიდევ, სტრაბონის სიტყვით, სხვა და სხვა ხალხი მოსახლეობდა, რომელნიც 26 ენაზედ ლაპარაკობდნენ. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ერთი ამ ენათაგანი ქართულიც იყო და უძველეს დროიდან ქართველებიც მოსახლეობდნენ ალბანიაში. თუ, სტრაბონის სიტყვით, გახვალთ რა ალაზანს, ალბანია იწყება, რაღა გასაკვირველია, რომ დღევანდელს ზაქათლის ოლქში ანუ საინგილოშიაც ყოფილიყვნენ ალბანელნი. ამისი ნიშანი ბევრია.

დავიწყოთ თუნდა სოფლების სახელებიდან. საინგილოს დასავლეთ ნაწილში მდებარეობს ორი დიდი სოფელი: მაწეხი და კატეხი. ორივე ეს სახელი წმინდა ალბანიურია. მაწე ნიშნავს თეთრს, ხი კიდევ წყალს, მდინარეს ჰქვიან, ასე რომ მთელი სიტყვა ნიშნავს თეთრს წყალს, მართლაც, შუა სოფელში ჩამოჩხრიალებს კამკამა თეთრი წყალი, საიდანაც. ეჭვი არ არის, მიუღია სახელი თვით სოფელს. სახელი კატეხიც ორის სიტყვისაგან შესდგება, კატ-წვეთი, ხ წყალი, ე. ი. წვეთი წყალი. შესაძლებელია პირველად სოფელში ძალიან პატარა წყალი იყო და ამის გამო დარქმევია სოფელს ეს სახელი. სოფელ გენიუხის სახელიც ალბანური უნდა იყვეს. სიტყვა გენახუმ ალბანურად ნიშნავს დღეს. ორი დიდი სოფელია ამ სახელით—ზემო და ქვემო გენუხი. დიმიტრი ჯანაშვილის სიტყვით, ორივე ამ სოფელში ქართველები მოსახლეობდნენ,2) რომელთაც მუსულმანობა მიიღეს და სრულიად გათათრდნენ. დღეს გენუხში თათრები მოსახლეობენ და არაფრით არ ეტყობათ ქართველური ჩამომავლობა. მე მგონია, როგორც თვით სახელიც გვიჩვენებს, სოფელი უფრო ალბანური უნდა ყოფილიყო. ალბანელთ, როგორც მრავალ სხვა ადგილას, თავიანთი ეროვნება დაუკარგავთ და გათათრებულან. „ქართლის ცხოვრების“ სიტყვით, „ეს სოფელი მეთექვსმეტე საუკუნეში ქართველებს ეკუთვნოდათ და მამასახლისად ყოფილა ვინმე ოტია ჯანდიერი. სოფელ კაკის სახელიც შესაძლებელია ალბანური იყოს. ალბანური სიტყვა კაჩე ნიშნავს ხეობას. ძირი მაინც სიტყვა კაკისა ალბანური უნდა იყოს უსათუოდ. სოფ. კაკიც ხომ ქურმუხის ვიწრო ხეობაში შეჭედილს გძელს სოფელს წარმოადგენს და, რა გასაკვირველია, თუ ასეთი სახელი დაერქვა. ანტონ ფურცელაძე ერთს თავისს თხზულებაში3) შენიშნავს, რომ ჯერ კიდევ ახსნილი არ არის სიტყვები: კახეთი, წუქეთი, კუხეთი, კურმუხი, შაქი და სხვა მრავალი მათ გვარნი. ყოველ ეჭვს გარეშე კიაო, რომ ესენი ქართული სიტყვები არ არიან და რომელიმე მეზობელი ერის ენიდან არიან წარმომდგარნიო. ჩვენის აზრით, ეს სახელები ალბანური უნდა იყოს, მაგრამ ამაზე როდისმე შემდეგ. ლაპარაკი არ უნდა, რომ ალბანურ ენის შესწავლა დიდს ნათელს მოჰფენს ისტორიის მრავალ ბნელ მხარეს.

ალბანელთ დღევანდელ საინგილოში ჰქონიათ ორი სამლოცველო სამსხვერპლო. სტრაბონი ამბობს, ალბანელნი თაყვანსა სცემენ მზესა, მთვარესა და ზევსს, უმთავრესად კი მთვარესო. მთვარის სამლოცველო ჰქონდათ ქალაქ ჰერაში, ქართლის ცხოვრების ჰერეთში, რომელიც, სტრაბონის სიტყვით, ივერიის საზღვრის მახლობლად მდებარეობდა, იქ სადაც ალაზანი იორს ერთვის. მზის სამლოცველო კი იქ უნდა ყოფილიყო, სადაც დღეს სოფელი ბელაქანია. სოფ. ბელაქანი უდიდეს სოფლად ითვლება საინგილოში, თორმეტი ვერსი სიგძე აქვს და დასახლებულია უმეტეს ნაწილად ავარელ ლეკებით, რომლებშიაც ურევიან გალეკებული ქართველები. ამ ადგილას უნდა ჰქონოდათ ალბანელებს სამლოცველო. სიტყვა ბელა და ბელა ნიშნავს ალბანურად მზეს, ქა-გა კიდევ—ადგილს; მთელი სიტყვა: ადგილს, სადაც მზის სამლოცველოა.4) ალბანიაში სხვა ბელაქანიც იყო, ე. ი. სხვა ადგილებშიაც ჰქონდათ სამლოცველოები მზისა. ერთი ასეთი სამლოცველო იყო დღევანდელ ყარაბაღში, რომელსაც იგივე სახელი ბელაქანი ერქვა. ყარაბაღის ბელაქანი დიდი ქალაქი ყოფილა და მისი ნანგრევები და კედლები დღესაც მრავლად არის ყარაბაღში. 5)

სამლოცველო მთვარისა, როგორც ზემოთა ვთქვით, იყო ჰერაში ანუ ქართველების ჰერეთში. თუ, რასაკვირველია, უარს ვყოფთ „ქართლის ცხოვრების“ მითიურს გადმოცემას ჰეროსისაგან ქალაქ ჰერეთის დაარსებისას, უნდა მივიღოთ, რომ ქალაქი ჰერა, სადაც ალბანელებს სამლოცველო ჰქონიათ, დაარსეს ბერძნებმა არგონავთებმა. თუმცა სტრაბონი დანამდვილებით არ ამბობს, სად მდებარეობდა ქალ. ჰერა, მაგრამ ლაპარაკი არ უნდა, რომ „ქართლის ცხოვრების“ ჰერეთი და სტრაბონის ჰერა ერთი და იგივე უნდა იყოს. შემდეგში ქალაქ ჰერას სახელი დაარქვა არა თუ მახლობელ ადგილებსა და მიდამოებს, არამედ მთელს კახეთს, კუხეთს, გაღმა-მხარს (საინგილოს) და ნუხის მაზრას6). შემდეგ სახელი ქალაქისა შეიცვალა. ისტორიკოსი პლინი იმას უკვე ყაბალად იხსენიებს, რასაც იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც ჰერს. ძველებური სახელი მთვარისა ალბანიურად ყამარაა, საიდანაც ასოების შეცვლით მანისა ბანზედ და რაესი ლასზედ ყაბლად გადაკეთებულია 7) მაშასადამე, სახელი ყაბალაც ალბანური ყოფილა. საშუალო საუკუნოებში სწორედ ამ სახელს უწოდებდნენ ქართველები ჰერას. 1089 წელს ნათქვამია „ქართლის ცხოვრებაში“, დავით აღმაშენებელმა მტკვრისა, იორისა და ალაზნის ნაპირებიდან განდევნა და დაამარცხა ირანელნი და შევიდა ქალაქ ყაბალაშიო. არაბთა ისტორიკოსის მოწმობით მეთორმეტე საუკუნეში ყაბალა ეპირა ანლასათ-ფერს. მაშინ ყაბალა ყაჩაღთა ბუნაგს წარმოადგენდაო, მცხოვრებნი მისნი მუსულმანები იყვნენ, თუმცა ირგვლივ სოფლებში ჯერ კიდევ ქრისტიანონი იყო. ესევე ყაჩაღთა ბუნაგს წარმოადგენს დღეს მისი მიდამოები, მაგრამ სახელად ყაბალა კი არა ჰქვიან, არამედ საბუხი. ქა-

---

1) ასეთისავე აზრისაა ალ. ხახანაშვილი, იხ. „Древнѣйшiе предѣлы разселенія грузинъ по малой Азіи“, გვ. 63.

2) იხ. დიმ. ჯანაშვილის „ისტორიული და გეოგრაფიული აღწერა ჰერეთისა“.

3) იხ. „ბრძოლა საქართველოს მეხასპობაზე“.

4) იხ. შაენბო. Новыя замѣтки на древныя исторіи Кавказа“.

5) იხ. „Извѣстія Кавказскаго археологич. общества“, წერ. ვეიდენბაუმისა.

6) იხ. „საქართველოს გეოგრაფია“, ვახუშტისა.

7) იხ. „Новыя замѣтки на древ. исторіи Кавказа“, მიშენბობა.

ნალური სკოლა. როდესაც ჩვენში საყოველთაო სწავლაზე აღიძვრება ხოლმე ლაპარაკი, უნებლიეთ იბადება საკითხი, თუ რომელ ენაზე უნდა სწარმოებდეს სწავლება. რუსეთის უზარმაზარი სივრცე გადაჭრელებულია მრავალი სხვა და სხვა თავის საკუთარ ენაზე მოლაპარაკე ერებით. აშკარაა, მარტო ოფიციალურ ველიკორუსულ ენას არ შეუძლიან სამსახური გაუწიოს ყველა ერების ფრიად მძიმე და საყურადღებო პირველ დაწყებით სწავლებისათვის საქმეს. რაციონალურ პედაგოგია მაინც მხოლოდ ადგილობრივი ენა მიაჩნია მიზნის შესაფერ საუკეთესო იარაღად. მხოლოდ მშობლიურ ენას, რომელსაც ბავშვი ხმარობს ოჯახსა და ტოლ-ამხანაგებში, შეუძლიან ნაყოფიერად გაუხსნას გონება და სწავლის თავდაუჭერელი სურვილი აღუძრას. ადგილობრივ მკვიდრთა ენებზედ შემოღებული სწავლა იქნება ნამდვილად ხალხის განმანათლებელი და თვითცნობიერების გამომაფხიზლებელი საშუალება. ასეთ ნიადაგზე აღმოცენებული სკოლა მოიხვეჭს ბავშვების სიყვარულს და მცხოვრებთა თანაგრძნობას, რადგან აქ ძველებურად გონებას არ დაუხშობენ და ეროვნულ გრძნობებს არ შეულახავენ.

რასაკვირველია, მარტო ენაში არ გამოიხატება სკოლის ჭეშმარიტად განმანათლებელი მნიშვნელობა თვითეულ ხალხისათვის; ეს დამოკიდებულია აგრეთვე სკოლის კურსის შინაარსზედაც. სწორედ ამისთვისაა ჩვენთვის საჭირო გამოვარკვიოთ, თუ რა სახის სკოლა შეიძლება ჩაითვალოს ჩვენის უმთავრეს მოთხოვნილებების დამაკმაყოფილებლად. ეს საჭიროა მით უმეტეს დღეს, როდესაც ყველანი ერთხმად საყოველთაო სწავლების განხორციელებაზე ლაპარაკობენ. ამის მიხედვით პროექტს პროექტზე აცხობენ და მოწერილობას მოწერილობაზე უგზავნიან სხვა და სხვა დაწესებულებას.

ერთი ამისთანა მოწერილობა შემოდგომის პირველ რიცხვებში კავკასიის მზრუნველისაგან მიიღეს ჩვენმა ქალაქის თვითმართველობებმა და საგუბერნიო და სამაზრო მარშლებმა, სადაც, სხვათა შორის, ნათქვამია: „დღეს, როდესაც სახელმწიფო სათათბირო საყოველთაო პირველდაწყებით სწავლების შემოღების მტკიცე სურვილს გამოსთქვამს, საერო განათლების სამინისტრო მოწადინებულია საზოგადო გეგმა შეიმუშაოს"... მზრუნველი თხოულობს „ყოველმხრივ გამოირკვეს სასწავლებლის რომელი ტიპი შეეფერება თვითეულ კუთხის თავისებურ პირობებს".

საყოველთაო სწავლების საკითხი იმდენად დიდმნიშვნელოვანია, იმის საჩქაროდ განხორციელება აუცილებელია, რომ აქ გულზე ხელის დაკრება და საქმის მიყრუება მომაკვდინებელ ცოდვად ჩაითვლება. ჩვენის თავად-აზნაურობის წარმომადგენლებს და ქალაქის თვით-მართველობებს შემთხვევა ეძლევათ შეეხონ და ასწონ-დასწონონ არა თუ მზრუნველის ქაღალდში ცხადად ან გაკვრით მოხსენებული საკითხი, არამედ მთელი სწავლა-განათლების საჭირ-ბოროტო საკითხი თავის სიგრძე სიგანით. ამ გარემოებით სასარგებლოდ უნდა ისარგებლონ და თავიანთი credo გულახდილად გამოსთქვან. ამ დაწესებულებებმა უნდა აღნიშნონ ის ხელმძღვანელი პრინციპები, რომელზედაც საჭიროა დაემყაროს ახლო მომავალში სწავლა-განათლების გავრცელება ხალხში. ამ პრინციპებს თვით ცხოვრება გვიკარნახებს და გამოიხატება სიტყვებით: „სახალხო განათლების ეროვნულ ნიადაგზე სრული დეცენტრალიზაცია და დემოკრატიზაცია". ამის გამორკვევას და რიგიანად შესრულებას ყველაზე დიდსა და მეტს სარგებლობას მოუტანს თვით სახალხო მასწავლებელთა კომპეტენტიური აზრი და რჩევა.

ამ ნიადაგზე ქუთაისის სამოსწავლო კომისსიას უკვე დაუწყია მუშაობა და მალე დავინახავთ, როგორ ნაყოფიერად დაგვირგვინებს საქმეს.

მე, რასაკვირველია, შორსა ვარ იმ ოპტიმისტურ აზრისაგან, რომ ჩვენ ასეთ სურვილების გამოთქმას უმალვე რაიმე საგრძნობელი ნაყოფი მოჰყვება. არა, მე ასეთის ილიუზიებით თავს როდი ვიტყუებ! მაგრამ ნურც იმას დაივიწყებთ, რომ მდუმარე, მონურ, რჩეულ მორჩილებას ყოველთვის ხმის ამაღლება სჯობია, რომელსაც თანაგრძნობით მიეგებებიან მთელის სახელმწიფოს მოწინავე ელემენტები. საყოველთაო სწავლებას და თავისუფალ სკოლას ზევიდან არავინ გვიბოძებს, თანამედროვე პირობებში-კი მახინჯ სასწავლებელთა გამრავლება და ჩვენის მხრით მათის არსებობისათვის წყაროს აღმოჩენა ჩვენის კულტურულ თვით-მკვლელობის ხელს შეწყობა იქნება და მეტი არაფერი. მარშლებმა და ქალაქის თვით მმართველობებმა რუსეთის მოლიბერალე ერობებს მაინც უნდა მიჰბაძონ: სადაც, მიუხედავად ათასგვარ დაბრკოლებისა, სწავლა-განათლების ჯეროვანად დაყენების საქმეში დაულალავ მხნეობას იჩენენ და ტფილისის თვით-მმართველობასავით უსიტყვოთ არ ემორჩილებიან ყოველგვარ მოწერილობას.

ჩვენში ხშირად გაისმის ხოლმე ქართველ დეპუტატებისადმი მიმართული სამართლიანი საყვედური, რომ იმათ ამურის რკინის გზაზედ უფრო ეხერხებათ ლაპარაკი, ვიდრე ჩვენი ქვეყნის ინტერესებზედ, მაგრამ ჩვენც ერთხელ მაინც ვეცადოთ მივაწოდოთ მათ მასალა თუნდა ამ სწავლა-განათლების მდგომარეობის შესახებ. ვინ იცის ეგებ მაშინ მაინც დაარღვიონ სიჩუმე და სათათბიროს ტრიბუნიდან მთელ რუსეთს გააგონონ ჩვენი კანონიერ მოთხოვნანი. **ტეხურის-პირელი.**

სახელმწიფო სათათბირო

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

მე-28 სხდომა 8 დეკემბერს.

თავმჯდომარეობს თავ. ვოლკონსკი. ს.-დემოკრატები დარბაზში არ არიან. თავმჯდომარე წინადადებას აძლევს სათათბიროს ფეხზე ადგომით მოისმინოს ხელმწიფე იმპერატორის პასუხი სათათბიროს მილოცვაზე 6 დეკემბერს. ყველანი სდგებიან; თავმჯდომარე კითხულობს: **ვმადლობ სახელმწიფო სათათბიროს ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის დღესასწაულის მილოცვისათვის. ნიკოლოოზ**". სათათბირო „ურა"-ს ძახილით მიეგებება დეპეშას.

შემდეგ სათათბირო შეუდგა მთავრობის კანონპროექტის განხილვას სამხედრო სამსახურის პირთათვის პენსიების (გაძლიერებულ) შესახებ კანონ-პროექტს. იცავენ მომხსენებელი კომისიისა **ბეზაკი**, შემდეგ სამხედრო მინისტრი. ორივენი აღნიშნავენ, რომ აფიცრები, ნამსახური და რომელთაც შრომის აღარ შეუძლიათ, უზრუნველყოფილნი არ არიან საკმაო პენსიით. მოჰყავთ ცნობები, რომ სამხედრო სამსახურს გაურბიან, რადგან სამსახურიდან გამოსული აფიცრები ცხოვრების სახსარს მოკლებულნი არიანო. კომისია მოითხოვს დროებით დატოვებულ იქმნას გაძლიერებულ პენსიების წესები და მთავრობას დაევალოს მალე შემოიტანოს კანონპროექტი ამ პენსიების შესახებაო. ამასთანავე კომისია სურვილს აცხადებს, რომ მთავრობამ დამსახურებულ ჯარისკაცთა უზრუნველ ყოფაზედაც იფიქროსო. **გუჩკოვი** ოქტომბრისტების სახელით იცავს კომისიის შესწორებათაც და კანონ-პროექტსაც. **სოკოლოვი** პროგრესისტების სახელით მხარს უჭერს კომისიისა და ოქტომბრისტების შესწორებათ და სურვილებს ჯარისკაცთა შესახებ. ტრუდოვიკი **კროპოტოვი** ამბობს, რომ მთავრობა მხოლოდ სიტყვიერად ზრუნავს ჯარის კაცებზე, თორემ ნამდვილად აფიცრების პენსია-ჯამაგირებზე ფიქრობს მხოლოდო. **ბობრინსკი** კადეტების მხრით უერთდება კომისიის ფორმულას. შინ. საქმ. მინისტრის ამხანაგი **ლუკოშინი** მთავრობის მხრით აცხადებს, რომ მთავრობა მზადაა და სიამოვნებით კისრულობს აასრულოს სათათბიროს სურვილი დამსახურებულ ჯარისკაცთა უზრუნველყოფის შესახებაო. **გეგეჭკორი** ასაბუთებს, რატომ არ იღებენ ს.-დემოკრატები მონაწილეობას ამ საკითხის გამო კენჭის ყრაში. სახ. დაცვის კომისიაში ოპოზიციის წარმომადგენლები არ არიან და ყველაფერი რაც იქ ხდება საიდუმლოებით არის მოცულიო. ტრუდოვიკების მხრით **ბულატი** აცხადებს, რომ ისინი უერთდებიან ფორმულას, მაგრამ სხვა მოსაზრებებით, ვიდრე უმრავლესობაო. ეპისკოპოზი **მიტროფანი** აღნიშნავს, რომ პროექტში გამოტოვებულია სამხედრო უწყების მღვდლების უზრუნველყოფა გაძლიერებულის პენსიითაო. ბოლოს სათათბირომ კანონპროექტი შეიწყნარა იმ სახით, როგორც წარმოუდგინა სახ. დაცვის კომისიამ.

სხდომის მეორე ნახევარი სათათბირომ მოანდომა ისევ 9 ნოემბრის კანონის მეორე მუხლის განხილვასა. ბოლოს კამათი შეწყვეტილ იქმნა და სათათბირო კენჭის ყრას უნდა შესდგომოდა. მაშინ ტრუდოვიკმა **მიაგკიმ** განაცხადა, კენჭის ყრა ახდილი იყოს, რათა მთელმა ქვეყანამ დაინახოს, ვინ არის მტერი და მოყვარე გლეხობისა. გლეხები აქ თავის თავს გლეხთა ინტერესების დამცველებად აღიარებენ. ნამდვილად-კი მხარს უჭერენ და ისიც შიშით მემამულეთა კანონსაო (ხმაურობა მარჯვნით). ამ საკითხმა საკუთარი კამათი გამოიწვია და ბოლოს სათათბირომ უარჰყო ახდილი კენჭის ყრა. დაფარულის კენჭის ყრით კანონის მეორე მუხლიც დამტკიცებულ იქმნა. სათათბირო მესამე მუხლის განხილვას შეუდგა.

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

9 დეკემბერი.

სპარსეთი

ტეგერანი. ღამე 50-მდე მუშტეიდმა ოსმალეთის საელჩოს შეაფარა თავი. მუშტეიდებმა კონსტიტუცია მოითხოვეს.

ოსმალეთი

ვენა. ოსმალეთის სულთნის სეფესიტყვამ აქაურ წრეებში კარგი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. ამას მოწმობს „პესტ. ლლოიდ"-ში დაბეჭდილი ოფიციალური ცნობა და ვენის გაზეთების წერილები. სეფე-სიტყვაში ანექსიის გაკიცხვა და სანჯაყის დაბრუნების შესახებ სიჩუმე, გაზეთების სიტყვით, ნიშნავს საერთაშორისო ზრდილობის უქონლობას. გაზეთები ამაში ბრალსა სდებენ ახმედ-რიზას, რომელმაც გაზეთების სიტყვით, სეფე-სიტყვიდან ეს ადგილები გამოსტოვა.

ბალკანეთი

ვენა. „ნეიე-ფრეიე-პრესსე" რუსეთის საპასუხო ნოტის შესახებ ამბობს, რომ რუსეთმა არსებითად ავსტრიის შეხედულება მიიღო და კონფერენციის იდეა ისე აღარ აინტერესებსო. გაზეთ „ცეიტ."-ს აზრით, რუსეთს ვითომ აღარ უნდა კონფერენციის მოწვევა, რითაც ავსტრია არაფერს ჰკარგავს და შეეცდება ოსმალეთთან კერძო შეთანხმებას, სერბიის მოთხოვნილებებს კი ყურადღებას არ მიაქცევს.

საზღვარ-გარედ

ლონდონი. პეკინიდან რეიტერს ატყობინებენ, რომ დღეს დალაილამა ლხასში გაემგზავრაო.

რუსეთი

ტაგანროგი. სოფ. ლატონის მახლობლად უცნობებმა მოჰკლეს მღვდელი, ორი მასწავლებელი, მედავითნე და ორი მეეტლე. მიზეზი და დაწვრილებითი ცნობები ჯერ არ იციან. მკვლელობის ადგილას წავიდნენ სასამართლოს მოხელენი და ოლქის უფროსი.

ჩერნიგოვი. 8 დეკემბერს ღამე მოჰკლეს პოდპოლკოვნიკ იცკოვის ცოლი. იცკოვისა სტუმრად იყო და სახლში ბრუნდებოდა შვილით. იცკოვა მოჰკლეს თავის სახლის შესავალში, მისი შვილი, გვარდიის აფიცერი დასჭრეს.

პეტერბურგი. 5 დეკემბერს საერო განათლების სამინისტროსთან მოხდა პირველი კრება უწყებათაშორისო საბჭოსი. კრებამ განიხილა იმ ფონდის დაარსების საკითხი, საიდანაც პირველ-დაწყებით სკოლებს შენობის ასაშენებლად შემწეობა და სესხი უნდა მიეცეთ. კრებამ ის აზრი გამოსთქვა, რომ სესხად ერობებს, ქალაქებს და სოფლის საზოგადოებებს შეიძლება მიეცათ საამშენებლო ხარჯის ოთხი-მეხუთედი, შემწეობად კი ნახევარი იმისა, რაც სასწავლებლის შენობა დაჯდება.

მოსკოვი. ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა მომავალ წლიდან პირველ-დაწყებით სკოლებში სალდელად სამკლასიან სისტემის მაგივრად ოთხკლასიანი შემოიღონ,

დონის როსტოვი. კავკავის რკინის გზაზე ყაჩაღების ბრბო მოქმედებს. ყოველ დღე რკინის გზაზე მოკლულები და გაცარცულები არიან. სად. კამენსკის მახლობლად თავს დაესხნენ პოლკოვნიკ კუტეინიკოვს.

პეტერბურგი. ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე რედაქტორის(?) და ალექსანდრე სტახოვიჩისა. ამათ ჰბრალდებოდათ შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილ ამხანაგს გურკოზე გაზეთის საშუალებით ცილისწამების გავრცელება. სასამართლომ ორივე გაამართლა.

ქალაქში დღე და ღამეში ხოლერით ავად გახდა 14, გარდაიცვალა ერთი.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **ჩამოხრჩობის წინააღმდეგ.** 500 კაცის მონდობილებით ბათუმიდან დეკანოზიშვილს, მესხს და გამყრელიძეს დეპეშა გამოუგზავნიათ აკაკის მთავარ საიუბილეო კომიტეტისათვის. ბათუმელნი უერთდებიან საზოგადო ხმას, ჩამოხრჩობილ არ იქმნენ განსვენებულ ილია ჭავჭავაძის მოკვლაში დამნაშავედ ცნობილნი ხიზანაშვილი, ლაბაური და მოძღვრიშვილი დეპეშაში სწერენ. „ჩვენ ბათუმის ქართველები, ვდღესასწაულობთ რა დიდებულ მგოსნის აკაკის წერეთლის ნახევარ საუკუნის განმავლობაში ქართულ პოეზიისა და ლიტერატურისთვის დაულალავ სამსახურს, მწუხარებას განვიცდით იმის გამო, რომ ამ დიდ მნიშვნელობიან დღეს საქართველოს სიამაყის განსვენებულ ილია ჭავჭავაძის სახელს უკავშირდება სასჯელი მისი მკვლელებისა.. ვუერთებთ ჩვენს სუსტს ხმას მწერლობის ძლიერების ხმას და ვუწოდებთ განსვენებულ ილიას პატივის მცემელთა და მადიდებელთ, იშუამდგომლონ დამნაშავეთა სიკვდილისაგან გადარჩენაზე, რადგან მაგ უბედურ ადამიანთათვის სიცოცხლეც სასჯელი იქნება".

◆ **მამულების გაყიდვა.** 13 დეკემბრისთვის ტფ. სახელმწიფო საადგილ-მამულო ბანკში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა დაგირავებულ სოსოფლის მამულების გასასყიდად. როგორც მკითხველებს მოეხსენებათ ბანკში უმთავრესად დაგირავებულია ქუთაისისა და ტფილისის გუბერნიის მცხოვრებთა მამულები. ამ ბანკს წლითი-წლობით მრავალი მამული რჩება, რომელსაც ან თითონ იტოვებს და ან და ვაჭრობით ჰყიდის ხშირად სულ უცხო ხალხზე. ამ ბოლო ხანებში, განათავისუფლებელ მოძრაობის დროს, ბანკი ცოტაოდენს შეღავათს აძლევდა მემამულეებს გადასახადების შეტანის საქმეში, რის გამო მრავალი გადასახადი დარჩა მამულებზე. წელს—კი ბანკმა ყოველივე შეღავათი მოსპო და მოითხოვა, მემამულეებმა დაუყოვნებლივ წარადგინონ რამდენიმე წლის გადასახადები. ეჭვი არ არის, დღევანდელ უფულობისა და საზოგადო კრიზის გამო მამულის პატრონები ვერ შესძლებენ ფულის შეტანას. მათი ცხოვრების სახსარი ადგილ მამული ხელიდან გამოეცლებათ.

◆ **შავი ქვის გამოჩენა.** როგორც დანამდვილებით გავიგეთ, გორის მაზრაში სოფელ საჯიაში გ. ალექსანდრეს ძის და ალექსანდრე ილიას ძე ჯავახიშვილების მამულში, ზეზმანის რკინის გზის შტოზე ხუთი ვერსის დაშორებით გამოჩენილა საუკეთესო თვისების შავი ქვის მადანი. გამოკვლევით ქიათურის მადანზე თუ უკეთესი არა, ნაკლები არ არის. ამის შესახებ მემამულეებს უკვე მოლაპარაკება აქვსთ სამზღვარ გარეთელ კამპანიასთან.

◆ **ტფ. ქალაქის საბჭო.** ტფ. ქალაქის საბჭომ 8 დეკემბერს 15-დე საქმე განიხილა, რაც არა-ჩვეულებრივ მოვლენად ჩაითვლება. გუბერნატორმა ამას წინად გამგეობას წინადადება მისცა 1720 მან. გადასდოს დამატებით ტფ. პოლიციის გასაძლიერებლად. ამ მოხსენებამ ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. საბჭომ უარ-ჰყო გუბერნატორის წინადადება. ზუბალაშვილის სახლობის სახალხო სახლის მართვა-გამგეობის შესახებ საბჭოს გამგეობამ მოხსენება წარუდგინა. სახალხო სახლს შესანახად ყოველ წლობით 20,000 მან. დასჭირდება. შემოსავალი იქნება 10,000 მანეთი ასე რომ ქალაქმა 10,000 მანეთი უნდა გაიღოს. ზუბალაშვილებს 600 მანეთი კიდევ შეუწირავთ სახალხო სახლში ავეჯეულების შესაძენად და ბიბლიოთეკის მოსაწყობად. საბჭომ დაამტკიცა გამგეობის მიერ ნავარაუდევი ხარჯთაღრიცხვა და დაავალა გამგეობას მალე დაასრულოს სახლის განათება და გახსნა. ტფ. მაძებარ პოლიციის ბინის დასაქირავებლად საბჭომ გადასდო 500 მან. როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, ამ საქმისთვის პეტერბურგს გადადებული ჰქონია 12,300 მანეთამდე, ოდესს 15,000 მანეთამდე და სხვა. საბჭომ მიიღო მოხსენება სასწავლებელთა კომისიისა იმ ხარჯის შესახებ, რომელიც ქალაქმა უნდა გაიღოს 15 წლის განმავლობაში საყოველთაო სწავლის შემოსაღებად. შინაარსი ამ მოხსენების უკვე იყო თავის დროზე გაზეთებში აღნიშნული. საბჭომ დაადგინა ყოველ სკოლაზე დასახმარებლად მთავრობას სთხოვოს წლიწადში 320 მან.

◆ **ძებნა.** ტფ. პოლიცია ფეხზე დადგა და დაეძებს იმათ, რომელთაც ამ დღეებში გაიტაცეს მდიდარი ვაჭარი აივაზოვი.

◆ **ნადიმი.** დღეს, 10 დეკემბერს, ტფ. „კრუჟოკის" დარბაზში მგოსანს აკაკი წერეთელს უმართავენ ნადიმს.

◆ **თათბირი.** დღეს, 10 დეკემბერს საღამოთი, კავკ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების დარბაზში მოხდება კერძო თათბირი საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტების დასასახელებლად.

მწარე მოგონება*)

ჩემს გულში 26 წელიწადი ვინახავდი და არ გამიმხელია ის საზარელი ამბავი, რომლის მოწამეც მე თვითონ

---

*) ეს წერილი „დაიბეჭდა „საქართველო"-ში. ამ წერილში აწერილია საზარელი ამბავი—აკაკის მოკვლის განზრახვა, ამიტომ ვბეჭდავთ სრულიად. რედ.

ლაქ ყაბალას მახლობლად ეხლა პატარა სოფელი-ღაა, სანგრად წოდებული.

ალბანიის ძველად, როგორც სტრაბონი ამბობს, ეჭირა ადგილები ალაზნიდან კასპიის ზღვამდე. იგი ორ მთავარ ნაწილისაგან შესდგებოდა—ალბანიისა და ავღნიისაგან,8) ანუ „ქართლის ცხოვრების" რანისა და მოვაკანისაგან. დღეს, როგორც ვუწყით, ალბანელნი ანუ ავღანნი სრულიად გაჰქრნენ, გარდა სულ მცირე ნაწილისა, რომელსაც უდინებს უწოდებენ და რომლის ნამდვილი, ისტორიული სახელი უთინებია. ისინი დღეს მოსახლეობენ ნუხის მაზრის შემდეგ სოფლებში: ორთაშენში, რომელიც სომხებმა ვართაშენად მონათლეს, ნიჯში, სულთან ნუხუში, ხალხალში და ფადარში. ამ სოფლებში ყველაზე დიდი ნიჯია (სოფლები), რომელშიაც 1000 კომლი მცხოვრები იქნება და რომელიც უთინების ცენტრად ითვლება. ეს უთინები, რომელთა ალბანელობაც ყოველ ეჭვს გარეშეა, დღესაც ლაპარაკობენ თავიანთს სამშობლო ალბანურს ენაზედ.

ეს ხუთი სოფელი-ღაა მოწამე იმ დიდებულ ერისა, რომელიც საქართველოს მოსაზღვრედ იყო და რომლის დიდი სამფლობელოც კასპიის ზღვამდე აღწევდა. უთინები, როგორც ვთქვით, პატარა ერია, რომელთა არსებობა არა თუ სხვაგან, კავკასიაშიც ბევრმა არ იცის და წარმოდგენაც არა აქვს მათზედ. ეს პატარა ერი, ნაშთი დიდებულ ალბანიისა, ღირსია ყურადღებისა და ყოველ მხრივ შესწავლისა. შესწავლა მათის ყოფა-ცხოვრებისა და განსაკუთრებით მათის ენისა დიდ ნათელს მოჰფენს აღმოსავლეთ კავკასიის ისტორიის ბნელს მხარეებს.

თვით საინგილოშიც არის ორი სოფელი უთინ-ალბანელებისა,—ვერხიანი და მეშაბაში. სოფელს ვერხიანს თუმცა ქართული სახელი ჰქვიან, მაგრამ თვით მცხოვრებნი არაფრით არ მოგაგონებენ ქართველებს, არც ზნე-ჩვეულებით, არც სახის გამომეტყველებით და არც ლაპარაკით. ქართული ლაპარაკი სრულიად არ იციან, თუმცა ირგვლივ ინგილოთა სოფლები ახვევიათ, ყველანი თათრულს ლაპარაკობენ და თავიანთ სამშობლო ენა ალბანურიც დაივიწყებიათ. მხოლოდ ჩაცმულობა, სახის გამომეტყველება და ზნე-ჩვეულებანი უთინური აქვთ და თითონაც რომ ჰკითხოთ, ყველანი გეტყვიან, სოფ. ნიჯიდან (ნუხის მაზრის უთინთა სოფელია) ვართ მოსულნიო. როცა მესამოცე წლებში ქრისტიანობის აღდგენას შეუდგნენ საინგილოში, მაშინ ვერხიენლებმა განაცხადეს, ჩვენი წინაპარნი სომხის სარწმუნოებისანი იყვნენ და ჩვენც გრიგორიანობას მივიღებთო. ამით ვერხიენლებმა ხაზი გაუსვეს თავიანთს უთინურს ჩამომავლობას. ნუხის მაზრაში მოსახლე უთინების უმრავლესობა გრიგორიანები არიან და თითონაც იმ სარწმუნოების მიღება უნდოდათ, რომელსაც მათი თანამოძმენი აღიარებდნენ.

მეორე სოფელი მეშაბაშია, რომელიც ნახევრად უთინებისაგან შესდგება. თუმცა ზოგიერთა შეხედულობით, ეს სოფელი კაკელთა ბინას წარმოადგენდა ძველად, მაგრამ ეს მართალი არ უნდა იყოს. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ რამდენიმე კომლი კაკელიც ურევია, მაგრამ დანარჩენნი უთინები არიან, რასაც ამტკიცებს მათი გვარებიც და მათი საერთო რწმენა, რომ ისინი სოფელ ნიჯიდან არიან. როცა ნიჯიდან თავიანთ ჩამომავლობას აღნიშნავენ, ამითი იმისი თქმა უნდათ, რომ ჩვენ არც ქართველები ვართ და არც თათრები, არამედ უცხო ერის ნაშთი, რომელიც ოდესღაც ძველს დროში მოსახლეობდა და რომლის კვალიც დღითი-დღე იშლება და კვალწმინდათ ჰქრებაო. მეშაბაშელებს დღესაც არ დაუკარგავთ მისვლა-მოსვლა თავიანთ ნუხელ მოძმეებთან, თხოულობენ მათგან ქალებს და სხვა.

საინგილოში არსებობს კიდევ სოფელი ფადარი, რომელშიაც ალბანელთა ერის შტოს, ფადარებად წოდებულს, უცხოვრნია*). თვით სახელი სოფლის, რასაკვირველია, მათ სახელწოდებისაგან უნდა დარქმევოდეს. ფადართა სოფლები ბევრი ყოფილა როგორც საინგილოში, ისე ნუხის მაზრაში**), მაგრამ შემდეგში თათრებად გადახალისებულან, ისე როგორც დღეს ჩვენ თვალწინ გვარდებიან მუსულმანი ინგილოები.

ალბანელთა ნაშთად უნდა ჩაითვალოს ის უზარმაზარი კედელი, რომელიც საინგილოში მთის ფერდობებზეც გავლილი, მაგრამ ამაზედ შემდეგ.

ედილი.

---

8) სიტყვა ავღვანია წარმოსდგა ქართულ სიტყვა აღუდგან, რასაც ჩვენში ბავშვს ეტყვიან ხოლმე. ამით გამოიხატება მშვიდი და წყნარი ხასიათი ალბანელებისა ის. ჯავახიშვილის „ისტორია ალუვანითა".

*) იხილეთ: „Стробоновыя извѣстія о кевлаахъ".

**) ibidem.

ვიუჯა და რომლის მოგონებაც დღე-საც ტანში ჟრჟოლტელსა მგვრის, მაგრამ მაინც, [illegible] დესასწაულის დღეს, [illegible] ჩემი გულის ნადებს, [illegible] საზოგადოებას არ გა[illegible]

1882 წ. 25 ენკენისთვეს, დილის მატარებლით აკაკი იმერეთიდან ჩამოვიდა ტფილისს და ჩამოხდა სასტუმრო „ივერიაში“, რომელიც მაშინ ჰქონდათ ძმებს ლევანსა და დავით ორახელაშვილებს—ელისაბედის და რიყის ქუჩის კუთხეში. აკაკიმ დაიკავა მე-4 ნომერი; მეც ამ ჟამად იქვე მეხუთე ნომერში ვიდექი, ჩემს გვერდით იდგნენ ჩემი ნათესავები—ბარნაბა ნემსაძე და ბიქტორ ლეჟავა.

იმ ღამეს 12 საათამდე ჩვენ ყველანი, ძმების ორახელიშვილებითურთ (ორიც სხვა იყო, რომელთა გვარიც აღარ მაგონდება). აკაკისთან ვიყავით და ვსტკბებოდით მისის მოსწრებულის მჭევრმეტყველურის საუბრით; შემდეგ გამოვეთხოვეთ და ჩვენს ოთახებში წავედით მოსასვენებლად.

მე წამოვწექ ახლუხის ამარა ჩემს ლოგინზე და განვაგრძე ახლად მიღებულის ხოზეს მარმოლის პოლიტიკური რომანის კითხვა, რომელიც იბეჭდებოდა მაშინდელს ჟურნალ „ივერიაში“ ამ სათაურით: „ციხე შიგნიდან გატეხილი“, თარგ. ი. ბაქრაძისა.

ჩვენსავით დაჩაგრულ, დამონებულ ერის თავ გამოდებულმა და მედგარმა ბრძოლამ სამშობლოს განთავისუფლებისათვის, რომელიც ხელოვნურად არის აწერილი ამ რომანში, ისე გამიტაცა, რომ ძილი დამიფრთხო.

საათის სამი გახდა. ყველას ეძინა. იქაურობა სამარისებური სიჩუმით იყო მოცული, მხოლოდ ორი ფარანი ოდნავ ანათებდა საერთო მოაჯირს.

უცებ რაღაც ფაჩუნი შემომესმა. ავსწიე თავი, დავუგდე ყური, მაგრამ ისევ სიწყნარე იყო; ორი წამის შემდეგ, კიდევ შემომესმა ფაჩუნი, თითქო ვიღაცის ფეხის ხმა იყო; ვიფიქრე, ალბათ კატა თუ არის-მეთქი; რადგანაც წინ კარი დაკეტილი იყო და მუდამ მეკარე იდგა და ეზოში-კი არავითარ ადამიანს არ შეეძლო შემოსვლა, იმ რიგად იყო გარშემოკრული, და ისევ მივეც თავი; მაგრამ მალე კვლავ შემომესმა ფეხის ხმა და შემდეგ კარის ჭრიალიც, წამოვხტი ზეზე, გავვარდი მოაჯირზე და უცებ თვალი მოვკარ, რომ აკაკის ოთახში ვიღაც კაცი შეძვრა; ელვის სისწრაფით გავქანე და მეც აკაკის ოთახში შევვარდი.

ღია კარებში შემოჭრილ სინათლის შუქზე დავინახე აკაკის საწოლთან ავაზაკის ხელში აღმართული გაპრიალებული ბებუთი...

ის იყო უნდა ჩაეკრა გულში, მშვიდად მძინარე პოეტისათვის, რომ მივვარდი ავაზაკს; მარცხენა ხელი ვსტაცე საყელოში და უკან გადმოზნექილს ავაზაკს მარჯვენა მუშტი დავარტყი სახეში; უცებ ვსტაცე მარჯვენა მაჯაში და შევსძახე: „დააგდე ხანჯალი, თორემ გაგათავებ-მეთქი“. ავაზაკმა ხელი უშვა იარაღს და აკაკის ლოგინის წინ წკრიალი მოიღო ბებუთმა.

[illegible] შეკრთა...

მე იმ წამსვე გამოვათრიე გარეთ ავაზაკი, ხმაურობაზედ გამოვარდნენ გარეთ ნემსაძე, ლეჟავა, ძმები ორახელაშვილები და სხვებიც.

ჩვენს აღშფოთებას საზღვარი არა ჰქონდა... ისვე ვეღარ შევიმაგრეთ, ვეცით ავაზაკს და კინაღამ დავაღრჩეთ... იგი უცებ გავათრიე მოსამსახურეების განაპირა ოთახში.

ავაზაკი ტირილით გვევედრებოდა:

— „შემიბრალეთ, ნუ მომკლავთ... მე სიმართლეს გეტყვით... აჰა, წაიღეთ ეს ხუთი ათ თუმნიანი, რომელიც ამ კაცის მოსაკლავად მომცეს... აი კიდევ ქამარი,—ყველაფერი წაიღეთ, მხოლოდ ნუ მომკლავთ .. ნუ დამახრჩობთ...

— ხმა, კრინტი, შე წუპაკო! შენა გსურს შერებ ჩვენც ფულით შეგვისყიდო? არა, მაგ ფულს საიქიოს გატანთ, სთქვი ჩქარა, ვინ მოგგზავნა? ვინ მოგისყიდა? რათა? რისთვის?!

— რას სჩადიხართ, მართლა არ მოკლათ ეგ კაცი!—შემოგვძახა კარებიდან [illegible] აკანკალებულის ხმით.

ეს იყო აკაკი, რომელსაც ტანისამოსი ჩაეცვა და შემოვიდა ჩვენთან.

აკაკი მთელი რიგი ახალგაზდათა თაობის აღმზრდელი იყო და მ. თ. მორის ჩემიც, მთელი საქართველოს დაბალი ხალხის უსაყვარლესი და უძვირფასესი მგოსანი, მას შევხაროდით ყველგან და ყოველთვის, ის ჩვენთვის ღმერთი იყო...

აკაკის დანახვაზე ჩვენ შევკრთით, სახტად დავრჩით, მისმა ფერ-შემკრთალმა სახემ ჩვენ ყველანი ჩაგვფუფქა.

— თქვენ მიბრძანდით, ბატონო, თქვენს ოთახში, დამშვიდდით, მოისვენეთ, ამაზე ნუ სწუხართ, ამას ჩვენ მოუვლით—ვუპასუხეთ ჩვენ.

— როგორ დავმშვიდდე ამისთანა მდგომარეობაში? გაანთავისუფლეთ, თუ გიყვარდეთ!..

— როგორ ბატონო! თქვენი მკვლელი, ავაზაკი გავანთავისუფლოთ?—მაშინ ჩვენ თვი ცოცხალი რაღად გვინდა?!

— გეუბნებით, არ შეიძლება კაცის ცემა, კაცის წვალება და სიკვდილი-მეთქი! გთხოვთ, ახლავე, ჩემის თვალის წინ გაანთავისუფლოთ ეგ შემცდარი ადამიანი და გაუშვათ უვნებლად

— ბატონო! თქვენ უნდა მოეკალით ამ...

— დიაღ, მე უნდა მოვეკალი, ხანჯალიც ჩემს საწოლთან გდია, მაგრამ მაინცა გთხოვთ, უთუოდ გაანთავისუფლოთ და უვნებლად გაუშვათ; გთხოვთ, ნუღარცა სცემთ და ნურც პოლიციას გადასცემთ,—გვითხრა აკაკიმ.

ავაზაკმა დაიჩოქა აკაკის წინ და ტირილით უთხრა:

— ბატონო! მე ხომ თქვენ არ გიცნობდით, თქვენი თავი მხოლოდ „ვაგზალში“ მაჩვენეს. თქვენთან ხომ თავის დღეში არავითარი საქმე არა მქონია; ღმერთმა ჰკითხოთ იმათ, რომელთაც შემაცდინეს და აი ამ ხუთი ათ-თუმნიანით ჭკუა და ნამუსი დამაკარგვინეს!.. გთხოვთ, გევედრებით...

— ჩაიდე ეგ ფული და წადი შენთვის, ღმერთმა მშვიდობა მოგცეს.—უთხრა წყნარად მგოსანმა.

ავაზაკი ამ სიტყვების შემდეგ მთლად დაიბნა: მოეხვია მუხლზედ აკაკის და ქვითინი მორთო.

— ნუ სტირი, ადექი წადი მშვიდობით!—უთხრა ღმობიერად მგოსანმა.

ავაზაკი განაგრძობდა ტირილს და ზლუქუნით ამბობდა:

— ვაჰ, ეს ამისთანა კაცისთვის უნდა ხელი შემეხო... ეს უნდა მომეკლა... მე სწორედ შეშლილი, გაგიჟებული ვიყავი... მე ახლა კი მართლა სიკვდილის ღირსი ვარ! მომკალით ბარემ, უნამუსო ცხოვრების სიკვდილი მირჩევნია—მოსთქვამდა ახლა ავაზაკი.

აბა ჩვენ აკაკის თხოვნასა და სურვილს როგორ გადავუდგებოდით!

ავაზაკს ხელი შევუშვით, მაგრამ მტკიცედ მოვსთხოვეთ სრული სიმართლე ალაპარაკებინა ჩვენს წინაშე.

— მე სარქისა ვართანოვი ვარ, ვინც მე, აი იმ ბატონის მოსაკლავად გამომგზავნეს, იმათგანს არც ერთს არ ვიცნობ, არც მათი ბინადრობა ვიცი და არც მათი სახელი გვარი; მე აქ დილით მოვედი, წინ კარიდან შემოვედი ჩუმად და ჩავიპარე ეზოში; იქ დახურულ დელეჟანში ჩავწექი და იქიდან უთვალთვალებდი, რომელ ოთახში იქნებოდა ის ბატონი.

ავაზაკი შუა ტანისაზე ცოტა მაღალი იყო, ჩასხმული, მხარ-ბეჭიანი, წაბლის ფერ წვერ-ულვაშიანი, ხნოვანობით ოც-და-ათის წლისა თუ იქნებოდა; გარეგნობით ავლაბრის კინტოსა ჰგავდა, ყარაჩოღული ტანისამოსი ეცვა: ბუხრის ქუდი, გულ-გადახსნილი მოკლე ახალუხი, ბრტყელი, ერთიანი ვერცხლის დიდი ქამარი, მინაოჭებული ჭუპუნა ჩოხა, განიერი შარვალი, ჩაბალახი და ყელ ჩაკეცილი ჩუსტები.

აკაკის მოთხოვნის თანახმად ავაზაკს გატეხილი თავი და თვალ-წარბი შევუხვიეთ, მერე თითონ მგოსნის თანადასწრებით გავუღეთ წინა კარი და გავუშვით.

კარში გასვლის დროს ავაზაკმა დაიფიცა:

— „დედა შემერთოს ცოლად, თუ დღეის იქით ქალაქში ჩემი ფეხი იქნეს და ან ეს ფული მე მოვიხმარო“.

ცა მოწმენდილი იყო და განთიადის შუქი უკვე მოტანებული.

ჩვენ დავრჩით საშინლად აღელვებული, ძარღვები საბრაზით გვითრთოდა, აღარ ვიცოდით, რა გვექნა, რომ ავაზაკი ხელიდან გაუშვით და ვერც მისი მომსყიდველების სახელი და გვარი შევიტყვეთ.

აკაკის წინადადებით ჩვენ გადავსწყვიტეთ და იქ დამსწრესაც ყველასა ვთხოვეთ, რომ ეს ამბავი საიდუმლოდ დაცულიყო და არავის გაგვეხმაურებინა. მაგრამ, ვიმეორებ, ამ ჟამად დადგა ისეთი დღე და წუთები, რომ ამ შემთხვევის კიდევ ბურუსში დატოვება შეუძლებელი-ღაა და მეც ამიტომ დავარღვიე ფიცი და აღთქმა და გამოვამჟღავნე ამოდენა ხნის გულში დამარხული ეს საშინელი შემთხვევა.

სოსიკო მერკვილაძე.

წერილები

ს. სამხთო (გურია). სამხთო მოზდილი სოფელია. გაშენებულია სადგურ ნატანების მახლობლად, თითქმის მიუდგომელ გორაკებზე, ამიტომ სამხთოელები გზებზე უკაცრავად გახლავართ. მოატანს თუ არა ზამთრის სუსხი, ქუჩები ლაფით ივსება და გავლა შეუძლებელი ხდება. სამხთოელები არა ერთხელ შეეცადნენ გზების მოკეთებას, მაგრამ საჭირო ხრეშის უქონლობისა გამო განძრახვა სისრულეში ვერ მოიყვანეს და უგზოობით შევიწროვებული სოფელი ყოველ ზამთრობით გაჩენის დღეს წყევლა-კრულვით იხსენიებს. ერთხელ, როგორც მახსოვს, მთავრობაც გვპირდებოდა გზების შეკეთებაში დახმარებას, მაგრამ გავიფურინდა ის ნეტარი დრო და ეხლა, დახმარების მაგიერ, სხვანაირად გვიმასპინძლდებიან...

არც აქაური სკოლაა მაინცა და მაინც სანუგეშო მდგომარეობაში. ეს სკოლა დაარსდა ამ ათიოდე წლის წინად, მღვდელის ანტონ ცეცხლაძის თაოსნობით. სოფლელებმა შეიძინეს სკოლისათვის საჭირო მიწა, ააგეს შენობა და უნდოდათ სკოლა სამინისტროსათვის გადაეცათ, მაგრამ იმათ განძრახვას წ-ნაალუდგა ცეცხლაძე, რომელიც ყველაა არწმუნებდა, სკოლა სამღვდელოებას გადავცეთ, ვინაიდან სამრევლო სკოლის ბატონ-პატრონი თვითონ ხალხია, სწავლა დედაენაზე იქნებაო და სხვა. სოფლელებმა მღვდელს დაუჯერეს და სკოლა სამრევლოდ დარჩა. მაგრამ სიკეთე ამ სკოლისაგან არაფერი გამოსულა. წელს სოფლელებმა მოიფიქრეს სკოლის ორკლასიანად გადაკეთება და სამინისტროზე გადაცემა. მიუმატეს ძველ შენობას ახალი დარბაზი, ერთხმად დაადგინეს განაჩენი და თხოვნა მისცეს სახალხო სკოლების ინსპექტორს, კეთილ ინებეთ და სკოლა თქვენს ხელთქვეით მიიღეთო. ინსპექტორმა სიამოვნებით მიიღო თხოვნა და სოფლელებს აღუთქვა, ვიშუამდგომლებ სადაც საჭიროა, რომ თქვენი თხოვნა შეწყნარებულ იქმნასო. სოფლელებმა თავისუფლად ამოისუნთქეს, იმედი ჰქონდათ შემოდგომიდან ორკლასიანი სამინისტრო სკოლა მაინც გვექნებაო, მაგრამ მოლოდინი არ გაუმართლდათ. სწავლის დაწყების დრო კარგა ხანია გავიდა, მაგრამ სოფლელების თხოვნა ჩვეულებისამებრ დასეირნობს კანცელარიიდან კანცელარიაში და ალაჰმა უწყის, როდის ეღირსება დამტკიცებას. სკოლა მიკეტილია და სწავლის დაწყებას მოლოდინში ბავშებს დრო გაუდით. „ვაის გავეყარეთ და ვუის შევეყარეთო,“ ამბობენ სოფლელები.

მოსავალი წელს ჩვენში კარგი იყო და სიმინდი და ღომი ბლომად მოვიდა. „ადესის“ ღვინოც საკმაოდა გვაქვს. პირნახულს თუ ფასი დაურჩა, სოფლელები ცოტათი ხელს მოითბობენ.

ამ დღეებში აქ დააპატიმრეს მასწავლებელი კ. ქინქლაძე და ოზურგეთში გაისტუმრეს. დატუსაღების მიზეზი დანამდვილებით არავინ იცის. **დონეშვილი.**

ს. თიანეთი. გადასახადთა ინსპექტორის ყორღანოვის მეცადინეობით ჩვენს მაზრაში მოვიდა გიორგობისთვეში მთავრობის მიერ გამოგზავნილი ფეიქარი, რომელმაც გახსნა ს. თიანეთში საქსოვი სახელოსნო და ორი თვეა, რაც ასწავლის ქსოვას. აუარებელი ქალი მოაწყდა ამ სახელოსნოს, მაგრამ ბევრნი უადგილობისა გამო არ იქმნენ მიღებულნი. ჯერ-ჯერობით ოცზე მეტი ქალი სწავლობს. დღემდე მოიქსოვა ჩითეულობა, პირსახოცები, შალი, ხოლო შემდეგში მოიქსოვება ჯეჯიმები, საჩოხე შალები და სხვა. დღეში ერთი მქსოვნელი მოჰქსოვს 20 არშინ ჩითსა, 12 არშინ შალსა; თითო არშინი ჩითი ჯდება 12 კაპეიკად, მაშინ როდესაც ამნაირივე ჩითი მაღაზიებში 40 კაპეიკად იყიდება, ისიც დამპალი—უვარგისი. ამის გამო თიანელები გულით ეკიდებიან ამ საქმეს და დიდი მადლობელნიც არიან ყორღანოვისა, რომელმაც აღმოუჩინა სახსარი ამ სახელოსნოს და შესძინა მას 10 თუმნის საჭირო ნივთები. დღემდე ყორღანოვი გულ-მოდგინედ უვლის ამ სახელოსნოს, ხოლო ახლო მომავალში მისივე მეცადინეობით სახელოსნო გადავა გლეხების მიერ შედგარ ამხანაგობის ხელში ყოველივე კუთვნილ ნივთებით უსასყიდლოდ და შემდეგში ამხანაგობა მოუვლის სახელოსნოს. ხალხსა ჰსურს, ამხანაგობის გზის მაჩვენებლად და საქმის მწარმოებლად იგივე ყორღანოვი დარჩეს, რომელიც ამ საქმის შესრულებას ჰპირდება უსასყიდლოდ.

შეძლებისა და გვარად სხვებიც ეხმარებიან სახელოსნოს. სახელოსნოს მოწაფემ მართა ქუთათელაძემ შეჰკრიბა სახელოსნოს სასარგებლოდ ხუთი მანეთი და ათი შაური. აი შემომწირველთა სახელი და გვარები: გრ. წიკლაური 1 მ., ნიკო ბაკურაძე 65 კ., გიორგი ინაშვილი 60 კ., გიორგი პეტრიაშვილი, სოსო დალაქიშვილი, ალექსი ბაძოშვილი და ვანო გოგნიაშვილი ათ-ათი შაური; მიხეილ მათურელი 35 კ., კოტე გუგუნაშვილი 30 კ., მ. ტარიელაშვილი 20 კ., ციხისტაშვილი 20 კ. და დ. ბაიაშვილი 20 კ. ოთხი თვის შემდეგ ფეიქარი წავა ს. ალვანში და იქ გახხსნის სახელოსნოს.

მ. შამანაური.

კავკავი. ძალიან ადრე დაგვიზამთრდა წელსა აქეთ. უმისოდაც ყველაფრის სიძვირეა და ადრე მოსულმა ზამთარმა ხომ მეტი სიძვირე ჩამოაგდო. გვეგონა, სოფლებში სიმინდების მტვრევა გათავდება და იაფობა დადგებაო, მაგრამ მოვტყუვდით. ერთის სიტყვით, კავკავში, რომ იტყვიან, ყველას ცეცხლი უკიდია. პურის ფქვილი მეშვიდე ხარისხის ხუთ ფუთიანი ტომარა 9 მ. 75 კ. ღირს. ფუთი სიმინდი—60—65 კ. სიმინდის ფქვილი 70—75 კ. ქერი 80—90 კ. ასეთი სიძვირე აქეთ არა ყოფილა.

20 გიორგობისთვეს ღამე ბულვარზედ მოდიოდნენ შექეიფიანებულნი ახლად კენჭნარგები ყმაწვილები. მათ შორის ქართველი გუბანელოვიც იყო. ყმაწვილი ბიჭები სიმღერით მოდიოდნენ. ამათ გადაუდგათ პოლიციელი და შეუყვირათ: ღამეა და მყუდროებას ნუ არღვევთო. პოლიციელს ყური არ უგდეს ჯეელმა ბიჭებმა და განაგრძეს სიმღერა. გაჯავრებულმა პოლიციელმა იძრო რევოლვერი და დაიწყო სროლა. ტყვია მოჰხვდა თავში საბრალო გუბანელოვს და იქვე გადაიქცა. ასე უბრალოდ შეიქნა მსხვერპლი ყმაწვილი კაცი გულქვა პოლიციელისა.

ქართველი ოხებში.

ოსმალეთი

პარლამენტის გახსნა.

ოსმალეთის ხალხი დიდის ამბით მიეგება პარლამენტის გახსნას. სტამბოლის ქუჩები ბაირაღებითა და ყვავილებით იყო მორთული, ოსმალეთის ყველა დიდ ქალაქში ხალხი ამ დღეს დღესასწაულობდა, ყველგან ზარბაზნების სროლითა და დიდის ამბებით ეგებებოდნენ.

სულთანის სასახლეში მივიდნენ მინისტრები და სულთანთან და პრინცებთან ერთად პარლამენტისაკენ გაემგზავრნენ. პარლამენტის კარებში სულთანს შეეგებნენ ყასბები; ცხრა ცხვარი ჰყავდათ იქვე და როცა სულთანმა კარებში ფეხი შესდგა, უცბად ყელი გამოსჭრეს ცხვრებს. სულთანმა მადლობა გადაუხადა და შევიდა პარლამენტში. დეპუტატები ერთი საათი უცდიდნენ სულთანს. აღსანიშნავია ის, რომ როცა ხალხმა დაინახა აჰმედ-რიზა, პარლამენტში მიმავალი, ტაშის ცემითა და „ურას“ ძახილით შეხვდა. სულთანი განსაკუთრებით მომზადებულ ადგილზე დადგა და სამი წუთი გაჩუმებული შესცქეროდა დეპუტატებს. შემდეგ პირველმა მდივანმა წაიკითხა სულთნის მიერ დაწერილი სეფე-სიტყვა, რომელშიაც, სხვათა შორის, მოყვანილია ის, რომ ბოლგარიის მთავარმა, აჯანყების დროშა აიფრიალა და თავი დამოუკიდებლად გამოაცხადაო, ავსტრიამ დაარღვია საერთაშორისო ხელშეკრულება და ბოსნია-ჰერცოგოვინა შეიერთაო. როდესაც ავსტრიას შეეხნენ, რამდენიმე დეპუტატმა და პრესის წარმომადგენლებმა ტაში დაუკრეს. სეფე-სიტყვის შემდეგ სულთანმა მოკლე სიტყვა წარმოსთქვა, მაგრამ ისე დაბლა ლაპარაკობდა, რომ კორესპონდენტები მის შინაარს არ გადმოქვეცემენ, ამბობენ მხოლოდ, სულთანი ალბად სიხარულს აცხადებდა პარლამენტის გახსნის გამოო. სულთანმა კიდევ ფიცი მისცა დეპუტატებს, რომ კონსტიტუციას დაიცავს. დეპუტატებმაც ფიცს მისცემენ, რომ კონსტიტუციასა და სულთანს აი ულალატებენ. სულთანის წასვლის შემდეგ ყველაზე უხნეს დეპუტატის ნეკი-ეფენდის თავმჯდომარეობით მოხდა პირველი სხდომა პარლამენტისა. წარმოსთქვეს რამდენიმე სიტყვა, უმთავრესად წესრიგის შესახებ. დეპუტატთა რწმუნებების შესამოწმებლად ხუთი ჯგუფი შეადგინეს და მეორე სხდომა შაბათისათვის დანიშნეს, ამის შემდეგ დეპუტატები წავიდ-წამოვიდნენ.

მოწოდება

„ერთობისა და პროგრესის“ კომიტეტმა გამოსცა მოწოდება, რომლითაც სთხოვს ყველა პარტიებს, შეერთდნენ კონსტიტუციონურ წყობილების გასამტკიცებლად და დასაცველად. მოწოდებაში, სხვათა შორის, ნახსენებია, რომ პარლამენტის გახსნის დროს შემდეგ ახალგაზრდა ოსმალთა მეთაურები გამართავენ ნადიმს, რომელზედაც მიიწვევენ ყველა კულტურულ სახელმწიფოს წარმომადგენლებს.

რუსეთი

„ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ რაზმელები და პოლიცია. ამ დღეებში პეტერბურგის ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ რაზმელების მოკვლის განზრახვისა. მოწმეებმა და რაზმელებმა გამოარკვიეს, რანაირად იქცეოდნენ რაზმელები. რაზმელმა ლავროვმა აჩვენა სასამართლოს, რომ პავლსკის მიდამოების რაზმში ითვლებოდა 139 კაცი, რაზმის უფროსი სლესარევი იყო. იარაღს ექიმ დუბროვინის სახლიდან გვირიგებდნენ, პატრონებს—ადგილობრივ პოლიციიდანაო. ჩვენი, უთქვამს ლავროვს, მოვალენი ვიყავით „კრამოლასთან“ გვებრძოლა, ამიტომ, ნება გვქონდა, ვინც გვინდოდა გაგვეჩხრიკა. ამას გარდა, ჩვენ მოვალენი ვიყავით სხვა და სხვა პირნი დაგვეხოცა პირველ ბრძანების უმალ და მონაწილეობა მიგვეღო თავდასხმასა და აკლიბა-აწიოკებაში. რომ უფრო კარგად გვემოქმედნა, „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ საჩაიეში არყით გვათრობდნენ. ჩვენი ერთად-ერთი კანონი „კავშირი“ იყო. იურკევიჩ—კრასკოვსკი წინდაწინვე გვეუბნებოდა: თქვენ რაც გინდათ. ჩაიდინეთ, პასუხის გამცემი არავინ არისო და სხვა. გამოირკვა აგრეთვე, რომ გერცენშტეინი „კავშირის“ რაზმელებს მოუკლავთ სასამართლოში გამოჰკითხეს ბოქაულს და უჩნის ზედამხედველს. ორივემ განაცხადა, ჩვენ იარაღს ვართმევდით „კავშირის“ რაზმელებს, მაგრამ უმაღლესი მთავრობა გვიშლიდა, „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ ნება-რთვა საკმაოაო. პოლიციელების გარდა სხვებმაც ბევრს გამოჰკითხეს; გამოირკვა, რა სისაძაგლეს სჩადიოდნენ „კავშირის“ რაზმელები და რა მფარველობას უწევდა მათ პოლიცია.

რედაქტორ-გამომცემელი
ივანე სოზიაშვილი.



აცეტილენის ფანარი
ახალი ტიპისა.

საუკეთესო მასალიდან გამადიდებელ შუში და ალიუმინის რეფლექტორით, რომელიც დიდ სინათლეს აძლევდა, 60 ნაბიჯზე ანათებს, საჭიროა ბ-ნთ აფიცრებისა, მონადირეებისა და ტურისტებისთვის.

აუარებელია ხმარებაში აქეთვე სისტემაა ველოსიპედებისთვის. ფასი 5 მან. კალცია, კარბილი მისთვის ასეთივე თვისებისა 30 კაპ. გირვანქა. იყიდება მხოლოდ კ. კ. ზობილევთან, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. (5—ხალ.—1)

„გრამოფონი“

გოლოვინის პროს., № 9. ტფილისის განყოფილება გოლოვინის პროს., № 9.

ერიდეთ სიყალბეს!!!

ყურადღება მიაქციეთ აქ დახატულ საფაბრიკო ნიშანს, რომელიც ყველა ჩვენ გრამოფონსა აქვს!!!

გრამოფონი

საუკეთესო გასართობია სახლში!!! მღერის, ლაპარაკობს, უსტვენს, თამაშობს და სხვ. შეძლებას იძლევა ყოველ დროსა და ჟამს, ყური დაუგდოთ საუკეთესო მომღერლის ხმას და სხვა და სხვა კონცერტებს. ყველას შეძლებას აძლევს, გაინვითაროს სმენა და გაიმდიდროს მუსიკალური ცოდნა. შეძლებას აძლევს ყველას, გამართოს თავის სახლში საცეკვაო საღამოები. აღვიძებს მუსიკისადმი სიყვარულს. სასარგებლოა არა მარტო როგორც გასართობი, არამედ აღზრდის საქმეშიაც. იგი სახელია ჩვენი მოლაპარაკე მაშინებისა.

ფასები მთელი რუსეთისთვის, კავკასიისთვის და იმიერ-კასპიის მხრისთვის ერთნაირია —შეუვაჭრებლად.

ყველა ფირფიტა, რომელიც ჩვენ მიერ დაწესებულ ფასებზე იაფად იყიდება, ან ყალბია ან ძველი, უკვე ნახმარი, და ასეთ ფირფიტებისთვის პასუხის-მგებლობას ვერ ვკისრებთ.

მიღებულია აპარატები სულ ახალ კონსტრუქციისა საუკეთესო მექანიზმით და ახალ მოდელებთან.

მიღებულია აუარებელი გურული ხმები.

მოითხოვეთ ნახატი კატალოგები აპარატებისა და სია ფირფიტებისა, რომლებიც იძლევა და იგზავნება უფასოდ.

ვისაც ეინტერესება და სურს,

საზოგადოება სთხოვს დაურიდებლად მობრძანდეს მაღაზიაში, გოლოვინის პროსპ., № 9. სადაც აპარატებს დაუკრავენ და შეუძლიანთ მუქთად მოისმინოს.

აპარატები იყიდება სამი წლის პასუხის-მგებლობით!!!

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ ის ფირფიტები, რომლებზედაც გადაღებულია ნამღერი მთელ დედამიწაზე ცნობილ მომღერალ ქალებისა და კაცებისა. ამ მომღერალთა გვარები და ფოტოგრაფიული სურათები დაბეჭდილია კატალოგებში.

ამა წლის 1 დეკემბრიდან გაიყიდება ორ-მხრივი ფირფიტები ადგილობრივ ენებზე. პატარა ფირფიტა 75 კაპ. და გრანდი 1 მ. 50 კ. ვთხოვთ პატივცემულ საზოგადოებას ეს მხედველობაში მიიღოს.

ერიდეთ სიყალბეს!

(15—6.—7)

სტამბა „სინათლე“, დიდი ვანქის ქუჩა, № 12.